International Journal of Social Sciences

Caucasus International University
Volume 4, Issue 2

Journal homepage: http://journal.ciu.edu.ge/

DOI: https://doi.org/10.55367/BULY5183

In Search of a Classic Talk Show: Functional and Structural Aspects of Cognitive and Entertaining Talk Shows on the Example of "Day Code" and "Eka Khoferia Show

Mariam Karchava[1]
PhD student, Caucasus International University

A B S T R A C T

Based on the qualitative research methods, this article will study and analyze the genre characteristics of two talk shows in the Georgian television space to determine how the mentioned genre adapts to the realization of two different functions - entertainment and cognition –, how Georgian TV showmen (show presenters) use the authentic features of the genre when presenting a topic that requires a multifaceted vision.

Georgian television media uses various mechanisms to expand the audience and maintain interest in their creative products. In the globalized media world, Georgian television journalism borrowed „ from the American media at the end of the 90s, then developed and adapted several genres of television shows to its audience. One such genre is the talk show, which occupies a place in the network of all broadcasting companies. At the dawn of the appearance of talk shows in Georgia, it was believed that having a talk show in primetime was equal to quality nonsense. There was also an opinion that the most sought-after person in the TV media of that time was the host of the evening talk show; despite these performances today, the rating of watching TV channels is decreasing, one of the reasons for which may be the quality of Georgian talk shows.

To narrow the selection spectrum of programs, two types of talk shows on the most popular topics in Georgia – recreational and cognitive were found. Even though there is quite a large selection of shows on Georgian television, the number of programs of the classic talk show genre is scarce, and most of them are mentioned in my dissertation. Based on the above, I searched for TV projects launched in the recent past for the mentioned research:

• “Eka Khoferia's talk show“, which carried signs of recreational direction transmission and enjoyed great popularity on the TV channel „Imedi“;

[1] mariam.karchava-shartava@ciu.edu.ge

• „Day code”, which carried signs of cognitive direction transmission, enjoyed great popularity on the TV channel „Public Broadcaster“.
The paper is based on comparing the “day code” and Eka Khoferia's programs. Critical structural monitoring is the main research tool. The discussion of empirical data is preceded by a theoretical part, in which the genre spectrum of television programs, in particular, the specifics and directions of the talk show, is described. Structural monitoring of both programs includes formal and compositional elements: principles of selecting invited guests, details of conducting dialogue, and interesting presentation of problematic topics.
The mentioned study criteria were the basis for determining how high-quality talk shows are broadcast on Georgian television. When analyzing both types of Georgian programs and comparing them with Western classic talk shows, it was revealed that certain parameters necessary to ensure the high quality of the talk show are not met. The absence of a golden mean in the formation of the content and form of the talk show was revealed, which led to a decrease in interest in the satellite product.

Keywords: *Television, Talk show, Georgia, Broadcasting format, Genre structure, Genre function, Cognition, Recreation*

კლასიკური თოქ-შოუს ძიებაში: შემეცნებითი და გასართობი თოქ-შოუების ფუნქციური და სტრუქტურული ასპექტები "დღის კოდისა" და "ეკა ხოფერიას შოუს" მაგალითზე

მარიამ ქარჩავა
დოქტორანტი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ა ბ ს ტ რ ა ქ ტ ი

წინამდებარე სტატია კვლევის თვისებრივ მეთოდებზე დაყრდნობით შეისწავლის და აანალიზებს ქართული სატელევიზიო სივრცის ორი თოქ-შოუს ჟანრულ მახასიათებლებს იმის დასადგენად, თუ როგორ ერგება აღნიშნული ჟანრი ორი განსხვავებული ფუნქციის - გართობისა და შემეცნების – რეალიზებას, როგორ იყენებენ ქართული სატელევიზიო შოუს წამყვანები ჟანრის ავთენტურ ნიშან-თვისებებს ისეთი თემის რეპრეზენტირებისას, რომელიც მრავალმხრივ ხედვას მოითხოვს.

ქართული სატელევიზიო მედია მიმართავს სხვადასხვა მექანიზმს აუდიტორიის გასაფართოებლად და საკუთარი შემოქმედებითი პროდუქტის მიმართ ინტერესის შესანარჩუნებლად. გლობალიზებულ მედიასამყაროში ქართულმა სატელევიზიო ჟურნალისტიკამ 90-იანი წლების ბოლოდან ამერიკული მედიიდან „ისესხა“, შემდგომ განავითარა და საკუთარ აუდიტორიას მოარგო სატელევიზიო შოუს რამდენიმე ჟანრი. ერთ-ერთი ასეთი ჟანრია თოქ-შოუ, რომელიც ყველა სამაუწყებლო კომპანიის ბადეში იკავებს ადგილს. საქართველოში თოქ-შოუების გამოჩენის გარიჟრაჟზე მიიჩნეოდა, რომ პრაიმტაიმში თოქ-შოუს განთავსება ხარისხიან მუწყებლობას უდრიდა და ასევე არსებობდა მოსაზრება, რომ ყველაზე მოთხოვნადი პერსონა იმდროინდელ ტელემედიაში სწორედ საღამოს თოქ-შოუს წამყვანი იყო, მიუხედავად ამ წარმოდგენებისა დღეს, სატელევიზიო არხების ყურებადობის რეიტინგი იკლებს, რის ერთ-ერთ მიზეზს შეიძლება წარმოადგენდეს ქართული თოქ-შოუების ხარისხი.

გადაცემების შერჩევის სპექტრის დავიწროვების მიზნით მოძიებულ იქნა ორი ტიპის ყველაზე პოპულარული თემატიკის თოქ-შოუ საქართველოში – რეკრეაციული და შემეცნებითი. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ტელევიზიებში შოუების საკმაოდ დიდი არჩევანია, კლასიკური თოქ-შოუს ჟანრის გადაცემების რაოდენობა მწირია და მათი უმეტესობა ჩემს სადისერტაციო ნაშრომშია მოხსენიებული. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, აღნიშნული კვლევისთვის მოვიძიე ახლო წარსულში ჩაშვებული სატელევიზიო პროექტები:

- “ეკა ხოფერიას თოქ-შოუ“, რომელიც ატარებდა რეკრეაციული მიმართულების გადაცემის ნიშნებს და დიდი პოპულარულობით სარგებლობდა ტელეარხზე „იმედი“;

- „დღის კოდი”, რომელიც ატარებდა შემეცნებითი მიმართულების გადაცემის ნიშნებს და დიდი პოპულარულობით სარგებლობდა ტელეარხზე „საზოგადოებრივი მაუწყებელი“.

ნაშრომი „დღის კოდისა“ და ეკა ხოფერიას გადაცემების შედარებას დაეფუძნა. ძირითად საკვლევ ინსტრუმენტს კრიტიკული სტრუქტურული მონიტორინგი წარმოადგენს. ემპირიული მონაცემების განხილვას წინ უძღვის თეორიული ნაწილი, რომელშიც სატელევიზიო გადაცემების ჟანრობრივი სპექტრი, კერძოდ, თოქ-შოუს სპეციფიკა და მიმართულებებია აღწერილი. ორივე გადაცემის სტრუქტურული მონიტორინგი მოიცავს ფორმატულ და კომპოზიციურ ელემენტებს: მოწვეული სტუმრების შერჩევის პრინციპებს, დიალოგის წარმართვის, პრობლემური თემის საინტერესოდ გადმოცემის დეტალებს.
აღნიშნული შესწავლის კრიტერიუმები საფუძვლად დაედო იმის დადგენას, თუ რამდენად ხარისხიანი თოქ-შოუები გადის ქართულ ტელევიზიაში. ორივე ტიპის ქართული გადაცემის ანალიზისას და დასავლურ კლასიკურ თოქ-შოუებთან შედარებისას გამოიკვეთა, რომ თოქ-შოუს მაღალი ხარისხის უზრუნველყოფისთვის საჭირო გარკვეული პარამეტრები დაკმაყოფილებული არ არის. გამომჟღავნდა ოქროს შუალედის არარსებობა თოქ-შოუს შინაარსისა და ფორმის ჩამოყალიბებაში, რასაც მივყავართ სატელევიზიო პროდუქტის მიმართ ინტერესის კლებასთან.

საკვანძო სიტყვები: *ტელევიზია, თოქ-შოუ, საქართველო, სამაუწყებლო ფორმატი, ჟანრის სტრუქტურა, ჟანრის ფუნქცია, შემეცნება, რეკრეაცია.*

თემის აქტუალობა

თოქ-შოუს ჟანრსა და მის სპეციფიკას არაერთი აკადემიური ნაშრომი ეძღვნება. მეცნიერული აზრი თავის საკვლევ ფოკუსში უფრო მეტად აქცევს იმ საკითხების აქტუალურობას, რომლებიც თოქ-შოუების შინაარსობრივ და დისკურსულ ველში ბრუნავს (მაგ.: კონკრეტული სოციალური საკითხები: ემიგრანტების და ეთნიკური უმცირესობების პრობლემა, ჯანდაცვის საკითხები, გენდერული უთანასწორობის საკითხები, ქალზე ძალადობის წინააღმდეგ მიმართული შინაარსი და სხვ., მათი გაშუქების სიხშირე და ფორმატული თავისებურებები), უფრო ნაკლებად – საკუთრივ ჟანრის ელემენტებს.

წინამდებარე ნაშრომი მიეკუთვნება ზემოთ ხსენებულ მეორე მიმართულებას, იგი შეეხება ქართული თოქ-შოუს ხარისხის განმსაზღვრელ კრიტერიუმებს. მასში წარმოდგენილია ორი სხვადასხვა ფორმისა და მიმართულების თოქ-შოუს შედარებითი ანალიზი.

აღნიშნულ კვლევაში გამოკვეთილია იმის ტენდენცია, თუ საითკენ არის მიმართული თოქ-შოუების ხარისხის განვითარების დინამიკა ამჟამად საქართველოში.

თემის მიზანი და ამოცანები

სტატიის მიზანია იმის დადგენა, რამდენად შეესაბამება „კლასიკური“ თოქ-შოუს ჟანრს საქართველოში აპრობირებული ის სატელევიზიო გადაცემები, რომლებიც საკუთარ პროექტს პოზიციონირებენ, როგორც ხარისხიან მედიაპროდუქტს, კერძოდ თოქ-შოუს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენი მიზანია განსაზღვრული „კიბერნეტიკული მოდელირება“ ანალოგსა და არსებულ პრაქტიკას შორის. ამ მიზანს ემსახურება შემდეგ ამოცანებზე პასუხის გაცემა:

1. განხილული გადაცემების თოქ-შოუს ჟანრის ავთენტურ ნიშან-თვისებებთან შესაბამისობის გამოვლენა;
2. წამყვანების მიერ ეთერში გამოყენებული პროფესიული უნარ-ჩვევების შესწავლა;
3. გადაცემის სტრუქტურაზე დაკვირვება (როგორ და რა პროპორციით იყო წარმოდგენილი ისეთი მნიშვნელოვანი ჟაანრული ელემენტები, როგორებიც არის: წამყვანის შესავალი, რომელშიც მთავარი საკითხის პოზიციონირება ხდება, საკვანძო საკითხების განხილვა სტუმრებთან და აუდიტორიასთან, შიდა სტუდიური დისკუსია, დასკვნა და შეჯამება).

საკვლევი თემა და ძირითადი საკვლევი შეკითხვები

საკვლევი თემა განისაზღვრება, როგორც : საქართველოს სატელევიზიო თოქ-შოუების შინაარსობრივი და პერფორმატიული ხარისხი.

საკვლევი შეკითხვებია:

1. რამდენად შეესაბამება ქართული თოქ-შოუები კლასიკურ დასავლურ თოქ-შოუებს?
2. რა დონეზე ასრულებენ წამყვანები თავის პროფესიულ ფუნქცია-მოვალეობებს?
3. როგორ აქვს ქართულ თოქ-შოუებს დაცული გადაცემის შიდა სტრუქტურა?

კვლევის ობიექტი და კვლევის საგანი

- კვლევის საგანი: ქვემოთ ხსენებული ტელერახების მედიაპროდუქცია: „ეკა ხოფერიას თოქ-შოუ“ და „დღის კოდი“; ამ გადაცემების ხარისხი, წამყვანი ჟურნალისტების მომზადების დონე და მოწვეული რესპონდენტების ჩართულობა ეთერის ჩაწერის პროცესში.

- კვლევის ობიექტი: საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი და კერძო მაუწყებელი „იმედი“.

კვლევის მეთოდები:

- საბიბლიოთეკო კვლევა ლიტერატურის მიმოხილვის სახით - თეორიული წყაროების ერთობლიობა თოქ-შოუს კონცეფციის, მისი მთავარი მახასიათებლებისა და საკომუნიკაციო მიზნების შესახებ. საბიბლიოთეკო კვლევას იმდენად განვიხილავთ მეთოდის ნაწილად, რამდენადაც ანალიზის მეთოდური ღერძი სწორედ თეორიაში არსებული პოსტულატებია, რომლებიც კვლევაში უკვე კონსტრუქტების ფუნქციით არის წრმოდგენილი.
- ვიზუალური ელემენტების მონიტორინგი, მათი რეგისტრაცია/აღნუსხვა და ანალიზი - დაკვირვება „იმედისა“ და „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ოფიციალურ ვებ-გვერდებზე, მათ საეთერო ბადეზე, თოქ-შოუების „შეფუთვაზე“.
- შინაარსობრივი სტრუქტურული მონიტორინგი – შემთხვევითი შერჩევის პრინციპით ჯამში 2 თოქ-შოუ იქნა შესწავლილი. დაკვირვება და სიღრმისეული ანალიზი მათი 5-5 გადაცემის საკვანძო საკითხების, წამყვანის საკომუნიკაციო როლისა და ამპლუების, მოწვეული სტუმრისა და აუდიტორიის ურთიერთქმედებაზე მიმდინარეობდა.

მონაცემების გაანალიზების მეთოდი:

- თვისებრივი კონტენტ-ანალიზი (ლიტერატურის მიმოხილვის, თეორიული არგუმენტებისა და მონიტორინგიდან მიღებული მონაცემების კროს-რეფერენციული სისტემატიზებული, ობიექტური ანალიზი)

1. თეორიული ნაწილი

1.1. თოქ-შოუს, როგორც ტერმინის განმარტება

1) ეს არის სატელევიზიო ჟანრი, აზრთა თავისუფალი გაცვლა წამყვანსა და სატელევიზიო შოუს მონაწილეებს შორის, რომელიც ეძღვნება ნებისმიერ აქტუალურ თემას (Т. Н. БУЦЕВОЙ, 2014).
2) ეს არის მასობრივი კულტურის ჟანრი. იგი განიხილება, როგორც სატელევიზიო მაუწყებლობის საეთერო ბადის შევსების მრავალმხრივი საშუალება, რომელიც წარმოადგენს მასობრივი და ინტერპერსონალური კომუნიკაციის მრავალფუნქციურ ასპექტს (Кузнецова Г.В., 2002).
3) “Talk show “- ე.წ. სასაუბრო წარმოდგენა; სასაუბრო სატელევიზიო გადაცემა, რომელშიც რამდენიმე მოწვეული მონაწილე განიხილავს წამყვანის მიერ შემოთავაზებულ თემას. როგორც წესი, სტუდიაში მოწვეული არის მაყურებელი.

ზოგჯერ მაყურებელს ეძლევა შესაძლებლობა დაუსვას შეკითხვა ან გამოხატოს თავისი აზრი (Вакурова Н.В., Московкин Л.И., 1998).

1.2. თოქ-შოუს სქემა

კლასიკური თოქ-შოუ შედგება ჯაჭვური სისტემისგან: წამყვანი, მოწვეული თანამოსაუბრეები (ექსპერტები) და მაყურებელი სტუდიაში. თოქ-შოუ აერთიანებს ჟურნალისტიკასა და სასცენო ტექნიკას. თოქ-შოუს თითოეული მონაწილე, როგორიც არ უნდა იყოს მისი ოფიციალური ფუნქცია პროგრამის ფარგლებში, ამავდროულად არის ის პერსონაჟი, რომელსაც მას თოქ-შოუს ავტორები შეურჩევენ. თოქ-შოუს ჟანრის სქემა საკმაოდ მარტივია: გმირები, მაყურებელი, წამყვანი, კითხვა-პასუხი. მკვლევრების ნაწილი თვლის, რომ თოქ-შოუს ჟანრის მთავარი ამოცანაა - გადაცემაში შემავალი შინაარსის აღქმის გააქტიურება დებატების, მწვავე კითხვების მეშვეობით. თანამედროვე თოქ-შოუს „ხრიკი“ მდგომარეობს იმაში, რომ თავისუფალი დისკუსიის გარე ფორმის მიუხედავად, ფაქტობრივად, აუდიტორიას სთავაზობენ ერთ მკაფიო პოზიციას, რომელიც მკაცრად შეზღუდულია პარამეტრებში (Television Talk Shows, 2001).

აღსანიშნავია, რომ ზოგ შემთხვევაში ტერმინი „თოქ-შოუ“ ნიშნავს ნებისმიერ „სასაუბრო“ პროგრამას, „მაგალითად, მრგვალ მაგიდასთან საუბარს ან უბრალო ინტერვიუს სტუდიაში, თუ საუბარია საკმაოდ ცნობილ რესპონდენტზე და ასევე პოპულარულ ჟურნალისტზე, რომელიც მაყურებლისთვის ასოცირდება „ეკრანის ვარსკვლავთან“ (Багиров, 1978).

1.3. თოქ-შოუს დაარსების ისტორია

თოქ-შოუს ჟანრი ამერიკულ ტელევიზიაში მეოცე საუკუნის 60-იან წლებში წარმოიშვა. მისი შემქმნელი, სავარაუდოდ, ცნობილი ჟურნალისტი ფილ დონაჰიუ იყო. გადმოცემის მიხედვით მის ერთ-ერთ გადაცემაში სტუმართან ინტერვიუს დროს, ფილ დონაჰიუ რაღაც მომენტში მიხვდა, რომ მას კითხვები ამოეწურა. რის შემდეგაც ის მივიდა სტუდიაში მჯდომ ერთ-ერთ მაყურებელთან და ჰკითხა: "-კითხვა გაქვთ ჩვენს სტუმართან?" მაყურებელს გაუჩნდა შეკითხვა და ამით დონაჰიუმ გამოიგონა თოქ-შოუს ჟანრი. ფილ დონაჰიუს პროგრამა პირველად გამოჩნდა სატელევიზიო არხზე „WHIO-TV“, სადაც 1963 წლიდან 1967 წლამდე დილის წამყვანად მუშაობდა და პირდაპირ ეთერში თოქ-შოუს სტუდიაში მოწვეულ სტუმრებს მასპინძლობდა. ეს იყო პროვინციული ტელევიზია, მისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი იყო მწირი და ადვილი არ იყო საინტერესო სტუმრების გადაცემაში მონაწილეობაზე დათანხმება. აუდიტორიის და მასთან ერთად პოლიტიკისა და შოუ-ბიზნესის იგივე ვარსკვლავების მოსაზიდად, დონაჰიუმ გადაწყვიტა ფუნდამენტური ინოვაცია. მან თოქ-შოუში აქცენტი არა ცნობილ პიროვნებებზე, არამედ სკანდალურ საკითხებზე გააკეთა, რომლებსაც ღიად განიხილავდა ეთერში. ფილ დონაჰიუს შოუს

დებიუტი დეიტონში, ოჰაიოში შედგა. შოუს პირველი სტუმარი იყო მადლენ ო'ჰეირი, ათეისტი, რომელთანაც დონაჰიუ კოლეჯებში სტუდენტებს შორის არსებულ რელიგიურ კონფლიქტებს განიხილავდა. 1967 წლის ნოემბრის იმავე კვირაში მან გადასცა ფოტორეპორტაჟი სამშობიაროდან, სადაც ნაჩვენები იყო მშობიარობის ყველა დეტალი და სტუდიაში შეკრებილებთან მშობიარობის პროცესი განიხილა. ამრიგად, თოქ-შოუს ჟანრმა შეიძინა გარკვეული სტატუსი, რაც მას აახლოებს დღევანდელი ჟანრის მახასიათებლებთან. 80-იანი წლების ბოლოს, ფილ დონაჰიუს დამსახურებით, თოქ-შოუს ჟანრი იმდენად პოპულარული გახდა, რომ აშშ-ს თითქმის ყველა სატელევიზიო არხს – დიდი ეროვნული არხებიდან მცირე სათემო მაუწყებლებამდე – ჰქონდა საკუთარი თოქ-შოუ. მწვავე კონკურენციის პირობებში თოქ-შოუები სულ უფრო ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებს და სულ უფრო მეტდ ხდებოდნენ სკანდალებზე ორიენტირებული. ეს ტენდენცია გრძელდება დღემდე, ვინაიდან სატელევიზიო გადაცემების ფართო სპექტრში რთულია იპოვო ხარისხიანი თოქ-შოუ მისთვის დამახსიათებელი ყველა ნიშან-თვისებით, დაცული ეთიკური ნორმებით და, რაც მთავარია, აუდიტორიისთვის საყურებლად საინტერესო სიუჟეტით (Могилевская, 2006).

ცნობილი რუსი ტელეჟურნალისტისა და მწერლის ლიუდმილა შესტიორკინას (2016) სახელმძღვანელოში „უნივერსალური ჟურნალისტიკა“ საუბარია თოქ-შოუს ამოცანებსა და მთავარ მახასიათებლებზე.

წინამდებარე კვლევის საგანს წარმოადგენს წამყვანი ქართული საინფორმაციო სააგენტოების - „ინტერპრესნიუსის"(IPN), „პრაიმ თაიმის"(PT) და „ბიზნეს მედია საქართველოს”(BMG) საქმიანობის ავტომატიზაცია, კვლევის ობიექტს კი ზემოჩამოთვლილი საინფორმაციო ორგანიზაციების მიერ მედიაწარმოებაში გენერაციული ხელოვნური ინტელექტის გამოყენების მასშტაბი.

ნაშრომის კვლევით ჩარჩოდ განისაზღვრა გამოყენებისა და დაკმაყოფილების თეორია (Uses and Gratification Theory), რომელიც გვთავაზობს ხედვას მედიის როლზე ინდივიდების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში, კერძოდ, ამტკიცებს, რომ ადამიანები აქტიურად მოიხმარენ, ირჩევენ კონკრეტულ მედიაარხებს, მედიაპროდუქტებს პირადი საჭიროებებიდან გამომდინარე. ეს არის არსებითი ჩარჩო მედიის როლის გასაანალიზებლად ადამიანების ცხოვრებაში, მედიასა და მის აუდიტორიას შორის ურთიერთობის გასაგებად (Blumler & Katz, 1974); ინოვაციების დიფუზიის თეორია (Diffusion of Innovations Theory), რომელიც განმარტავს, თუ როგორ აღიქმება ინოვაციები საზოგადოების მიერ და რა კანონზომიერების მიხედვით შეიძლება მათი სწრაფი გავრცელების/დიფუზიის უზრუნველყოფა. ინოვაციის დიფუზიის ძირითადი ელემენტებია ინოვაციები, საკომუნიკაციო არხები, დრო და სოციალური სისტემა. დიფუზია მოიცავს ხუთ ეტაპს – ცოდნას, რწმენას, გადაწყვეტილებას, განხორციელებას და

დადასტურებას. გავრცელების პროცესში განასხვავებენ ინოვაციების მომხმარებელთა ხუთ კატეგორიას – ინოვატორებს, ადრეულ მიმდევრებს, ადრეულ უმრავლესობას, გვიან უმრავლესობას, ჩამორჩენილებს (Rogers, 2003).

1.4 თოქ-შოუს ამოცანები:

- მოსაწყენი, ყოველდღიური თემა გადააქციოს ყოვლისმომცველ საინტერესო პროგრამად ინტრიგის ელემენტებით;
- მიიპყროს ყურადღება და განსახილველი თემის მიმართ ჩამოაყალიბოს გარკვეული დამოკიდებულება;
- იპოვოს გზები კონკრეტული პრობლემის გადასაჭრელად (Шестёркина, 2016).

1.5 თოქ-შოუს მახასიათებლები:

- მაყურებელთან დიალოგური კომუნიკაციის ფორმა, ჟურნალისტური ნაწარმოების ერთ-ერთი ძირითადი ტიპის – ინტერვიუების პირდაპირი გამოყენებით.
- ტელევიზია აძლევს ადამიანს უფლებას, გახდეს კონკრეტული ღონისძიების უშუალო მონაწილე და აყალიბებს კონკრეტული თოქ-შოუს აღქმის ინდივიდუალურად პერსონალურ ტიპს.
- მრავალფეროვან აუდიტორიასთან კომუნიკაციის ატმოსფეროს თავად წამყვანი ქმნის. იგი შედგება წამყვანის პიროვნული თვისებებისგან. ესენია: პროფესიონალიზმი, ხიბლი, მჭევრმეტყველება, არტისტულობა, იუმორი, განათლება, სიტყვის მარაგი და ა.შ.
- თოქ-შოუსთვის აუდიტორიისა და ექსპერტების ყოფნა აუცილებელია.
- სცენარის წინასწარ მომზადება სავალდებულოა, რადგან თოქ-შოუს ჟანრი, უპირველეს ყოვლისა, ტელევიზიის მეშვეობით შექმნილი სპექტაკლია (Шестёркина, 2016).

1.6 სატელევიზიო შოუს ჟანრების არასრული ჩამონათვალი

კით ბრაუნი (Brown, 2006) გვთვაზობს სატელევიზიო შოუების შემდეგ თემატურ კლასიფიკაციას:

1) გასართობი შოუ
2) რეალითი-შოუ
3) დოკუმენტური შოუ
4) შოუ ჯანმრთელობის შესახებ
5) საბავშვო შოუ

6) კულინარიული შოუ
7) თოქ-შოუ
8) სამოგზაურო შოუ
9) იუმორისტული შოუ
10) შოუ მოდის შესახებ
11) საგანმანათლებლო/შემეცნებითი შოუ
12) სპორტული შოუ
13) სათავგადასავლო შოუ
14) ინტელექტუალური შოუ
15) ანალიტიკური შოუ
16) ადამიანების გაცნობის იდეაზე დაფუძნებული შოუ
17) შოუ ცხოველებისა და ბუნების შესახებ.

მსოფლიოში ყველაზე მსხვილი სამაუწყებლო ბრიტანული კორპორაცია BBC საინტერესოა, როგორც საზოგადოებრივი მაუწყებელის მაგალითი, რომელიც ინარჩუნებს პრესტიჟს და კონკურენტუნარიანობას გლობალურ მედიაბაზარზე, იგი სხვადასხვა ჟანრის გადაცემებში, მათ შორის თოქ-შოეუბში გამოირჩევა გამჭვირვალობით და მრავალფეროვნებით.

აღსანიშნავია, რომ პოლიტიკური თოქ-შოუ, რომელსაც ასევე ხშირად უწოდებენ „კლასიკურ თოქ-შოუს“, საკმაოდ აქტუალურია სწორედ BBC-ის საეთერო ბადეში. ასეთი ტიპის თოქ-შოუში მთავარია დროის ეფექტურად გამოყენება. ეთერში ტრანსლაციის დროს არ არსებობს შეკითხვა, რომელიც ჟურნალისტის ან აუდიტორიის მხრიდან არ დაისმევა. თუ აუდიტორიის წევრს სურს შეინარჩუნოს ანონიმურობა, მას შეუძლია კითხვის დაწერა და შემდგომ წამყვანისთვის მიწოდება. რუს მეცნიერს ა. გორობის თავის კვლევაში (А.В.Горобий, 2021) მაგალითად მოჰყავს თოქ-შოუ „The One Show“, რომელიც მოიცავს თემების ფართო სპექტრს - სერიოზული პოლიტიკური ამბებიდან კომიკურ ჭორებამდე, მაგრამ გარდა საგნების მრავალფეროვნებისა, ამ გადაცემას აქვს კიდევ ერთი ფუნქცია - ქველმოქმედება. „The one show”-ის ფარგლებში პერიოდულად იმართება ფონდების შეგროვება ობოლი ბავშვების დასახმარებლად, ველური ბუნების დასაცავად და ა.შ. გადაცემის ვიზუალური მხარე ასევე შეესაბამებამის ჟანრს, ხოლო წამყვანები კარგად მომზადებულები არიან თითოეული გადაცემისთვის. „The one show”-ში საკვანძო ფუნქციას ასრულებს აუდიტორია, რომელსაც მოწვეულ სტუმრებთან ერთად წამყვანის მხრიდან თანაბარი დრო ეთმობა.

1.7 თოქ-შოუს ქვემიმართულებები:

1) სოციალურად მნიშვნელოვანი თოქ-შოუები: განიხილება ისეთი საკითხები, რომლებიც მნიშვნელოვანი და მტკივნეულია საზოგადოების დიდი ნაწილისთვის.

2) ე.წ. რუტინული თოქ-შოუები: მათ აქვთ მუდმივი კონკრეტული თემა (მაგალითად, ჯანმრთელობა, სამზარეულო, აღზრდა და ა.შ.).
3) სკანდალური თოქ-შოუები, რომელთა თემებია მწვავე ცხოვრებისეული სიტუაციები (სოციალური ცხოვრების წესი, ღალატი, განქორწინება, ძალადობა, დედობის ჩამორთმევა, მემკვიდრეობა, რეპუტაციის დაკარგვა და ა.შ.) (Hanne Bruun, 2017).

2. შედეგები და განხილვა

2.1. გადაცემა „დღის კოდი“

გადაცემა „დღის კოდი“ თოქ-შოუების ჟანრის ერთგვარი მოდიფიცირებული ფორმატია. მართალია, მას აკლია კლასიკური თოქ-შოუს ერთ-ერთი საკვანძო შემადგენელი ელემენტი – ეთერში დამსწრე აუდიტორია, როგორც საზოგადოების მიკრომოდელი, მაგრამ ამ ნაკლს გადაცემა აბალანსებს საკმაოდ საინტერესო თემების ფართო სპექტრით, კვალიფიციური რესპონდენტებით და წამყვანების ინტერვიუს ჩაწერამდე მომზადების მაღალი ხარისხით. „დღის კოდის“ წამყვანები – ნიკა ლობილაძე, ნინო იაკობიძე და დავით ანდრიაძე არიან. ისინი თავიანთ მაყურებელს სთავაზობენ ამომწურავ ინფორმაციას, არგუმენტირებულ მსჯელობას განათლების, კულტურის, სოციოლოგიის, პოლიტიკის, ეკონომიკის საკითხებზე. ხშირია მსჯელობა ფილოსოფიურ და იდეოლოგიურ საკითხებზე. გადაცემა მიზნად ისახავს ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში განვითარებულ მოვლენებზე საინტერესო ხედვის გაზიარებას.

2.1.1 სათაური: „ტოტალიტარიზმი და ახალი ეპოქა“.

სტუმარი: პაატა ქურდაძე – ქართველი მწერალი, ესეისტი და დოკუმენტალისტი. [2]

ამ გადაცემის ტელეწამყვანები არიან ნინო იაკობიძე და დავით ანდრიაძე, რომლებიც თოქ-შოუს ფაქტობრივად დროით-სივრცითი დისპოზიციით იწყებენ, რომ ტოტალიტარიზმი უკვე განვლილი ეტაპია კაცობრიობის განვითარების ისტორიაში, და თანამედროვე საზოგადოება ახლა პოსტმოდერნულ სივრცეშია. თუმცა ერთ-ერთი წამყვანი ხაზს უსვამს იმ ფაქტორს, რომ ტოტალიტარული რეჟიმის პირობებსა და პოსტმოდერნიზმში მცხოვრებ ადამიანებს შორის არის ბევრი საერთო.

გადაცემის სტუმარია პაატა ქურდაძე – ქართველი მწერალი, ესეისტი და დოკუმენტალისტი. რესპონდენტისთვის სიტყვის მიცემამდე დავით ანდრიაძე მას რიტორიკულ კითხვას

[2] ლინკი: https://youtu.be/WLmEaN5M8Co?si=68DAbMU6K-dTc-nk

უსვამს: «ცხოვრება – სიახლეა. მაგრამ ბოლო დროს ჩვენმა ცხოვრებამ დაკარგა ახალი ამბების მიღების ემოცია. როგორ ფიქრობთ, რატომ?».

პაატა ქურდაძე მიიჩნევს, რომ ნებისმიერ ეპოქაში ადამიანები თავად ქმნიან ამბებს, მიუხედავად პოლიტიკური რეჟიმისა. და თუ რამდენიმე ათეული წლის წინ ამ სიტყვას მეტი მნიშვნელობა ჰქონდა საზოგადოების ცხოვრებაში, ახლა, ტექნოლოგიური პროგრესის პერიოდში, ადამიანები უყურებენ სიახლეებს ტელეეკრანებიდან, ტკბებიან მიღებული ინფორმაციით და მოვლენებით გარედან. სტუმრის თქმით, ადამიანებს არ აქვთ ისეთი საინტერესო მოვლენები, რომლებზეც გაკვირვებით ან აღტაცებით ისაუბრებენ. შემდეგ, წამყვანებთან ერთად, საუბარი შეეხება ნოსტალგიის გრძნობას იმ დროზე, როდესაც ადამიანებს ცოცხალი კომუნიკაცია, სტუმრად წასვლა ან სტუმრების მიღება ერჩივნათ სმარტფონით კომუნიკაციას.

სივრცის განცდა თოქ-შოუს ლაიტმოტივია. წამყვანი სტუმარს ეკითხება: «ჩვენი საერთო უცებ აღმოჩნდა პოსტმოდერნულ თანამედროვეობაში, მაგრამ ის მაინც დაკარგულია და არ იცის, სად არის მისი ადგილი. შეგიძლიათ ამიხსნათ სად ვართ ახლა?», რაზეც პაატა ქურდაძე ისტორიულ დისკურსში პასუხობს და მაგალითი მოჰყავს, რომ ათწლეულების წინ, როცა გენოციდები სხვა ქვეყნებში ხდებოდა და ევროპა აქტიურად იღებდა დევნილებს აფრიკიდან, სირიიდან და ა.შ. საქართველოს მოსახლეობა მაშინ არ იყო დაინტერესებული გარეთ არსებული ასეთი პრობლემებით. ეს გამომდინარეობდა იქიდან, რომ 90-იან წლებში ჩვენს სახელმწიფოში უკვე რთული პერიოდი იყო. მაგრამ მაშინაც კი, როდესაც საქმე რუანდის გენოციდს ან სრებრენიცას ხოცვა-ჟლეტას ეხებოდა, ხალხს ისეთი რეაქცია ჰქონდა, თითქოს ეს ყველაფერი მათგან შორს ხდებოდა და არანაირად არ ეხებოდა. ახლა ხალხი ბევრად უფრო მგრძნობიარე და ემოციურია იმ მოვლენების მიმართ, რაც უკრაინაში ხდება. ამრიგად, სტუმრის თქმით, ერთი შეხედვით პოსტმოდერნული რეჟიმი ეხება არა მხოლოდ თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას, არამედ –„მწუხარების მწუხარებას“ სხვა ქვეყნების მიმართ და მიმდინარე მოვლენებს, რომლებიც ხალხში მაშინაც კი აღწევს, როცა ეს მათ ქვეყანას არ ეხება. თუ ტოტალიტარული რეჟიმის დროს ადამიანები საინფორმაციო ვაკუუმში იყვნენ და იცოდნენ მოვლენების მინიმალური წილი, რომელიც ხდებოდა როგორც მათ ქვეყანაში, ასევე მის გარეთ, ახლა, პირიქით, იმდენი ინფორმაციაა, რომ საზოგადოებას არ აქვს დრო, რომ გადაამუშაოს, გააცნობიეროს და მიიღოს იგი. ამიტომ, შემოსული სიახლეები არის ერთჯერადი, მოკლევადიანი. ემოციურად გვეხებიან, მაგრამ ძალიან სწრაფად ქრებიან. ამის სანაცვლოდ, ახალი მოვლენები და ახალი ემოციები მოდის. შეგრძნებების ამ ტიპის სპექტრიდან გამომდინარე, – ადამიანები, როგორც წამყვანი აღნიშნავს, ძალიან გადატვირთულნი და დათრგუნულნი არიან. მწერალი პაატა ქურდაძე მიიჩნევს, რომ მსოფლიოში სამხედრო არასტაბილურობა და სახელმწიფოებს შორის მუდმივი კონფლიქტები ამის ბრალია. ამიტომ, თუ ადრე პატარა წვრილმანიც კი

დაგვეხმარებოდა დეპრესიული მდგომარეობიდან გამოსვლაში, ახლა წლიდან წლამდე ეს ტენდენცია უარესდება და ადამიანებისთვის არ არის საკმარისი დაძაბული მდგომარეობიდან გამოსასვლელად მხოლოდ კარგი ამბავი.

წამყვანები, რესპონდენტთან ერთად, ერთ-ერთ მიზეზად მედიას მიიჩნევენ, რომელიც თავისი სატელევიზიო გადაცემებითა და ახალი ამბების შინაარსით ხელს უწყობს ადამიანებისთვის ასეთი უარყოფითი ემოციური ფონის შექმნას. პაატა ქურდაძე აღნიშნავს იმ პარადოქსს, რომ თუ ადრე ადამიანები ნაკლებად ინფორმირებულები იყვნენ, მაგრამ უფრო ბედნიერები, ახლა ცუდი ამბების ასეთი სიჭარბით, რაც ხდება როგორც ქვეყანაში, ასევე მსოფლიოში – ხალხი ნაკლებად ბედნიერია და, უფრო მეტიც, ნაკლებად მგრძნობიარე.

შეჯამების დროს, რესპონდენტიც და წამყვანებიც ირიბად მიდიან დასკვნამდე, რომ მოდერნიზმი ტოტალიტარული იდეოლოგიის სახეობაა და ამის დასტური, პირველ რიგში, ადამიანები არიან. თუ სსრკ-ში მმართველობის ტოტალიტარული რეჟიმიც მიიღეს და შეეგუენ «ცრუ სწავლებას», ახლა პოსტმოდერნულ სივრცეში მყოფი საზოგადოება კვლავ თანაბრად ეგუება ირგვლივ მიმდინარე ქაოსს და არ ცდილობს ამისთვის წინააღმდეგობის გაწევას.

2.1.2 სათაური: „როგორ აღმოვაჩინოთ და განვავითაროთ ნიჭი ბავშვებში“

სტუმარი: რუსუდან აბრამიძე - პედაგოგი [3]

გადაცემა იწყება ნინო იაკობიძის შეკითხვით სტუმრისადმი, თუ როგორ განვსაზღვრავთ მოსწავლის ნიჭიერებას/გარკვეული საგნებისადმი მიდრეკილებას. ჟურნალისტი გადაცემის დაწყებისთანავე ფოკუსში აქცევს პრობლემას, რომ ბავშვებზე „იარლიყების“ დაწებება და მათი ერთგვარი გაყოფა „ნიჭის მიხედვით“ სწავლის პირველივე საფეხურზე არასწორია.

რუსუდან აბრამიძე ეთანხმება წამყვანის ამ მოსაზრებას და პასუხობს, რომ სასკოლო განათლების სისტემა პირველ რიგში მიზნად უნდა ისახავდეს ბავშვისთვის გზის გაკაფვას და დახმარებას, რათა მან იპოვოს, თუ რა არის მისთვის საინტერესო. რუსუდან აბრამიძის აზრით, საკუთარი თავის პოვნა უდრის ბედნიერების ფორმულას - იმ საქმის პოვნას, რომელიც ადამიანს ანიჭებს ბედნიერებას. შემდეგი შეკითხვა ჟურნალისტის მხრიდან იყო დილემა, თუ როგორ უნდა მოიქცეს მშობელი, როცა ხედავს ბავშვში გარკვეული საგნისადმი ნიჭს, მაგრამ იმავდროულად ბავშვს სულ სხვა გატაცება აქვს და სულ სხვა საგანი მოსწონს. რუსუდან აბრამიძე პასუხობს, რომ უხშირეს შემთხვევაში ასეთი პრობლემის წინაშე არა მხოლოდ მშობლები აღმოჩნდებიან ხოლმე, არამედ პედაგოგებიც, რომლებიც დიდი მოლოდინით შეჰყურებენ და დიდ იმედებს ამყარებენ გარკვეულ მოსწავლეებზე. მშობლები

[3] ლინკი: https://www.youtube.com/watch?v=_OKVRbfIA1s

21-ე საუკუნეში მათ შვილებს უყურებენ, როგორც მსხვილ პროექტს, რომელიც წარმატებით უნდა წარმართონ, ხოლო პედაგოგები, თუ ამჩნევენ მოსწავლეების წარმატებულ სწავლებას რამდენიმე საგანში, სხვა დანარჩენ დისციპლინებშიც იმავე „ტრიუმფს“ მოელიან. აქვე რუსუდან აბრამიძე აღნიშნავს, რომ სკოლამ ბავშვებს ცალსახად უნდა ასწავლოს, რომ ნიჭი ტიტანურ შრომას მოითხოვს, და მხოლოდ მაღალი გონებრივი შესაძლებლობები, მონდომებისა და სწავლის გარეშე-სასურველ შედეგამდე არ მიგვიყვანს. მეორე წამყვანი ნიკა ლობილაძე მავნებლურ პარადიგმაზე საუბრობს, რომლის შინაარსი მდგომარეობს ფორმულაში: თუ ნიჭიერებაა, ე.ი. სიზარმაცე გამართლებულია. რუსუდან აბრამიძე საუბრობს, რომ ნიჭში, უპირველეს ყოვლისა, იდეებისა და ცოდნის რეალიზების ტალანტი შედის, ამიტომ ზემოთ ხსნებული და ქართულ საზოგადოებაში გავრცელებული სტიგმა ძალიან მავნებელია სწავლების პროცესის დროს. წამყვანები და რესპონდენტი შეეხნენ საკმაოდ აქტუალურ საკითხს - ხელოვნურ ინტელექტს, რომელიც შეუჩერებლად და საკმაოდ ჩქარი ტემპით იმკვიდრებს თავს ახალგაზრდა საზოგადოებაში. რუსუდან აბრამიძემ აღნიშნა, რომ ეს პროცესები მომავალში კიდევ უფრო განვითარდება, მასწავლებლებს ისღა დარჩენიათ, რომ შეცვალონ მიდგომები და მოერგონ სწავლების ახალ მეთოდებს. თუ, მაგალითად, ადრე ესსეს თემაზე „თავისუფლება“ წერდა მოსწავლე, ახლაეს ფუნქცია შეუძლია შეითავსოს ინტერნეტმა. ამიტომაც, რუსუდან აბრამიძე თავის გამოცდილებას უზიარებს აუდიტორიას, განსაკუთრებით მის კოლეგებს, პედაგოგებს, რომ იგი იმავე ესსეს წერის დროს მოსწავლეებს ხელოვნური ინტელექტის გამოყენების ნებას რთავს, მაგრამ იმ ალგორითმებითა და საკვანძო სიტყვებით, რომლებსაც ჩაწერენ „ჩატბოტის“ დავალების ველში მოსწავლეები, მისთვის გახდება თვალსაჩინო, თუ როგორ მსჯელობენ და აღიქვამენ ბავშვები პრობლემურ საკითხს. ამგვარად, თანამედროვე სწავლების მიდგომების თანახმად არა შედეგი, არამედ პროცესი უფრო ფასობს. გადაცემის დასასრულს წამყვანებმა და მოწვეულმა სტუმარმა იმსჯელეს მასწავლებლის მნიშვნელოვან ფუნქციაზე ბავშვის განვითარებაში და ერთობლივად მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ პედაგოგის მთავარი ამოცანა არა საგნობრივი თეორიის ახსნა, არამედ ბავშვის მსჯელობის და ფიქრის უნარის განვითარებაა. პედაგოგს შეუძლია, თავისი მიდგომებით მოსწავლეს შეაყვაროს ის საგანი, რომელიც მისთვის საწყის ეტაპზე არ იყო საინტერესო და, პირიქით, შესაძლოა, არასწორი მიდგომებით იმ საგნისადმი ინტერესი დაუკარგოს, რომელშიც ნიჭი აქვს.

წამყვანი: „სად იკარგებიან ნიჭიერი ადამიანები“?

სტუმარი: „ზოგი სიზარმაცით კლავს თავის ნიჭს, ზოგი მშობლების, პედაგოების, ახლობლების მხრიდან დადგენილ მაღალ თამასას ვერ უმკლავდება და იკარგება, ზოგი უბრალოდ ვერ ახდენს საკუთარი ნიჭის რეალიზებას, ზოგს კი მატერიალური უსახსრობა უღობავს გზას“.

2.1.3 სათაური: რა იწვევს პროფესიულ გადაწვას და როგორ ავირიდოთ ის თავიდან

სტუმარი: ფსიქოლოგი - მარინა კაჭარავა[4]

გადაცემა იწყება პროფესიული გადაწვის არსსა და მის შემადგენელ კომპონენტებზე საუბრით. მოწვეული სტუმარი არა მხოლოდ პროფესიულ, არამედ ემოციურ გადაწვაზე საუბრობს და ასახელებს ამის გამომწვევ შემდეგ ფაქტორებს: დაბალი თვითშეფასება, სამსახურში ან ოჯახში უღიარებლობის შეგრძნება, როლური ფაქტორი („მე იქ არ ვარ, სადაც უნდა ვიყო“-ს განცდა). მარინა კაჭარავა აღნიშნავს იმ მთავარ სიმპტომებს, რომლებიც ეტაპობრივად ჩნდება და ახდენს ზეგავლენს ადამიანის მდგომარეობაზე. პირველი ეს არის პრობლემური ადგილისგან დისტანცირება; შემდგომ მოხშირებული უთანხმოება, კონფლიქტები კოლეგებთან; შემდგომ იმუნიტეტის დაქვეითება -ხშირი გაციება;საბოლოოდ კი კუჭნაწლავის ტკივილი, უჰაერობა, თავის ტკივილი - რაც მოდის ჩვენი ფსიქოსომატიკიდან და ჯანმრთელობის რეალური პრობლემებიდან გამომდინარე.

ჟურნალისტი ნინო იაკობიძე სვამს საკმაოდ საინტერესო კითხვას, თუ რატომ ხდება ისე, რომ საზოგადოების ნაწილი უფრო მოწყვლადია ამ პრობლემის მიმართ, ხოლო მეორე ნაწილს პროფესიული გადაწვა უფრო მსუბუქ ფორმებში გადააქვს. ამ შეკითხვაზე მარინა კაჭარავა პასუხობს, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოს, სადაც ვატარებთ ჩვენი ცხოვრების უმეტეს დროს. თუ სამსახურში მოსვლა გვიხარია, პროფესიული გადაწვა უფრო მსუბუქად გადაგვაქვს. თუ ამას ვაკეთებთ საკუთარ თავზე ძალდატანებით, მაშინ შედეგიც უფრო მძიმეა. სტუმარი აღნიშნავს, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ასევე პროფესიას, არის საქმიანობების გარკვეული ჩამონათვალი, რომელიც იმყოფება პროფესიული გადაწვის ეგრეთწოდებულ „რისკ ზონაში“, ესენი არიან: ექიმები, მასწავლებლები, პოლიციელები, ჟურნალისტები. გადაცემის სტუმარი ასევე საუბრობს „ურბანულ ნევროზზე“, რომელიც დედაქალაქში უამრავი ხალხის თავმოყრას, მუდმივ საცობებს და ქაოტური ცხოვრების სტილს გულისხმობს. სწორედ ურბანული ნევროზი არის ასევე ემოციური გადაწვის შემადგენელი ნაწილი. გადაცემის დასკვნის სახით, მარინა კაჭარავა საუბრობს იმ პრევენციაზე, რაც დაგვეხმარება ემოციური ფონის დაბალანსებაში, მაგალითად: ჩვენი პრიორიტეტების ქრონოლოგიურად დალაგება და უპირატესობის მინიჭება ან დღეში მცირედი დროის დათმობა იმისთვის, რაც ნამდვილად გვანიჭებს სიამოვნებას.

[4] ლინკი: https://www.youtube.com/watch?v=j4KQMKgEiB0

2.1.4 სათაური: „პროფესია კინოოპერატორი“

სტუმარი: დავით გუჯაბიძე - თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, კინოოპერატორი[5]

მოწვეული სტუმარი საუბარს იწყებს კინოოპერატორის ხელობის, საქმის სპეციფიკაზე და ასახელებს ამ სპეციალობის ყველაზე დიდ სირთულეს, ეს არის: არა მარტო ინფორმაციის, არამედ ემოციის შექმნა. წამყვანი დავით ანდრიაძე ინტერესდება, თუ რა განსხვავებაა გადამღებ სპეციალისტსა და კინომხატვარს შორის, რაზეც რესპონდენტი პასუხობს, რომ სპეციალისტი პროფესიონალურ დონეზე ფლობს გადასაღებ ტექნიკას, ხოლო კინომხატვარი, გარდა იმისა, რომ სწორად სარგებლობს შესაბამისი აღჭურვილობით, გამოხატავს თავის ხედვას, იღებს განსხვავებული რაკურსიდან და დროულად იჭერს კადრს.

გადაცემის ფარგლებში სტუმარმა და წამყვანებმა ისაუბრეს მეოცე საუკუნის 60-იანი წლებისა და დღევანდელი ოპერატორებს შორის განსხვავებაზე. დავით გუჯაბიძე ამბობს, რომ უპირველეს ყოვლისა, მთავარი განსხვავება არის ფირი, რომელიც თანამედროვე ციფრულ ტექნიკაში აღარ არის საჭირო, ხოლო სამოციან წლებში მისი გამოყენება ცალკე ნიჭსა და უნარებს მოითხოვდა. დღეს ყველას შეუძლია ოპერატორობა, მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის გადაღება ტელეფონითაც გახდა შესაძლებელი, მოწვეული სტუმრის აზრით, მთავარია ამ დარგში მომუშავე სპეციალისტმა იცოდეს, რას იღებს და რატომ იღებს.

შეჯამების სახით, ჟურნალისტი ნინო იაკობიძე სვამს შეკითხვას, თუ როგორი ოპერატორები დადგებიან დღევანდელი სტუდენტები, იმის გათვალისწინებით, რომ ძალიან ბევრს ფუნქციას ითავსებს არა თავად სპეციალისტი, არამედ თანამედროვე ტექნიკა, რაზეც მოწვეული სტუმარი დარწმუნებულია, რომ საქართველოში ახალგაზრდებს აქვთ დიდი შანსი გახდნენ კარგი ოპერატორები, უბრალოდ ამისთვის საჭიროა არაერთ ტექნიკასთან მუშაობა და ბევრი პრაქტიკა სხვადასხვა ლოკაციაზე.

2.1.5 სათაური: „არტისტი, როგორც მოქალაქე“

სტუმარი: ნანი ბრეგვაძე - მომღერალი[6]

გადაცემის ამ გამოშვებაში საუბარი იყო არა თუ არტისტის დეფინიციაზე, არამედ მის, როგორც მოქალაქის, როლსა და ფუნქციებზე სოციუმში. ჟურნალისტებმა ნანი ბრეგვაძეს დაუსვეს შეკითხვა, თუ როგორ ახერხებს იგი იყოს ცნობილი და ხალხისთვის საყვარელი მომღერალი და იმავდროულად აფიქსირებდეს თავის ხედვას გარკვეულ პოლიტიკურ

[5] ლინკი: https://www.youtube.com/watch?v=sKphQJXZYKY

[6] ლინკი: https://www.youtube.com/watch?v=hr4XVXtkl2s

ვითარებებზე. ცნობილია, რომ ხშირად, როცა მომღერალი ან მსახიობი აფიქსირებს თავის პოზიციას ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე, იკლებს მისი კონცერტებისა და გამოსვლების რაოდენობა. სწორედ ამაზე ჰქონდათ მეტწილად გადაცემაში საუბარი ჟურნალისტებსა და სტუმარს.

ერთ-ერთმა წამყვანმა დასვა შეკითხვა, თუ რა არის სიმღერის კულტურა, რაზეც ნანი ბრეგვაძემ უპასუხა, რომ მახვილები ქართულ სიმღერაში დიდ როლს თამაშობს, ამიტომ, როცა ახალგაზრდა მომღერლები ცდილობენ ძველი სიმღერების ინტერპრეტაციას და გადამღერებას, მნიშვნელოვანია, რომ მთავარი ტექსტის შინაარსი და ჟღერადობა შენარჩუნდეს.

გადაცემის დასასრულში მიდიოდა საუბარი ნანი ბრეგვაძის გამოცდილებაზე, რუსეთში ნამოღვაწარ წლებზე, თუ როგორ ასწავლიდა იგი ახალგაზრდებს დაკვრასა და მღერას. მოწვეულმა სტუმარმა დასკვნით ნაწილში შეასრულა სიმღერა.

2.1.6 დასკვნა

აღსანიშნავია, რომ გადაცემის წამყვანები, რომლებიც არიან სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები, მოწვეულ სტუმრებთან ერთად აქტუალურ და შემეცნებით საკითხებს განიხილავენ. „დღის კოდის“ ანალიზში რელევნტურობს მოკლებულია ძლიერი და სუსტი მხარეების გმოყოფა, ვინაიდან „დღის კოდი“ არ არის ტიპური თოქ-შოუ. აქ ყველა გადაცემა, რომელიც მონიტორინგის ქვემდებარე გახდა, არ არის მიკერძოებული, არ „უხვევს“ საწყისი თემიდან და არ არის დაინტერესებული რომელიმე სტუმრის მოწვევის ხარჯზე მოახდინოს რაიმეს რეკლამა ან უკონტექსტო პოპულარიზაცია. გადაცემაში ყოველთვის სხვადასხვა სტუმრებს და, რაც მთავარია, სხვადასხვა პროფესიული დარგის წარმომადგენლებს იწვევენ. თუ ხუთშაბათს მათი სტუმარი მხატვარია და ხელოვნებაზე საუბრობს, პარასკევს ჩვენ ვხედავთ ფსიქოლოგს, რომელიც მშობლისა და ბავშვის კავშირზე, აღზრდის სწორ მექანიზმებზე საუბრობს. ამგვარად, ყოველ კვირას „დღის კოდი“ მაყურებელს ცხოვრების ძალიან ბევრ ასპექტზე მსჯელობას სთავაზობს, აუდიტორია ვერ დაიჩივლებს იმით, რომ დრო მეტწილად მხოლოდ ერთ პროფესიულ დარგს და თემას ეთმობა, გადაცემაში ბევრი პრობლემური საკითხი და მისი გადაჭრის შესაძლო გზები განიხილება.

ასევე დადებით მხარედ შეგვიძლია აღვნიშნოთ ის, რომ გადაცემაში ბევრი ცნობილი, მაგრამ კიდევ უფრო მეტი აუდიტორიისთვის უცნობი პერსონაჟი მოჰყავთ სტუმრად, თუმცა მოწვეულთა ინტელექტუალური მსჯელობა უდაოდ იწვევს ინტერესს, რომელიც გადაცემის ბოლომდე რჩება მაყურებელს. „დღის კოდში“ თითოეული გამოშვება იწყება რიტორიკული კითხვებით და სათაურებით: „სიმპათია და ემპათია, მსგავსება და განსხვავება“; „თამაშის კულტურა და კულტურით თამაში“; „მუსიკის თერაპია“; „დებატების კულტურა და

დებატების სკოლა“; „დაღლა, როგორც შედეგი და ჩვეული მდგომარეობა“; „კულტურული და კრეატიული ინდუსტრიების ახალი ფორმები“; „დალოცვისა და სურვილის მისტერია“; „მოლოდინი და იმედგაცრუება“ და ა.შ.

მართალია, „დღის კოდში“ ნაკლებად იგრძნობა რეკრეაციული ფუნქცია, ვინაიდან მიდის სერიოზული დისკუსია შემეცნებით თემებზე, თუმცა ჟურნალისტებს ინტერვიუ მიჰყავთ მარტივი და ყველასთვის გასაგები ენით, ისინი სვამენ იმ კითხვებს, რომლებითაც არიან დაინტერესებული არა მარტო მოწვეული სტუმრის კოლეგები პროფესიულ დარგში, არამედ საზოგადოების დიდი ნაწილი.

აღსანიშნავია, რომ ჟურნალისტების მიერ დაცული ყველა ეთიკური ნორმა არ იწვევს ეთერში ხმაურს და რესპონდენტების საკვნაძო საკითხების განხილვის თავის არიდებას. გადაცემას აქვს კონკრეტული სტრუქტურა და დროის ბადე, იგი იწყება ზოგადი შესავალით, აუდიტორიისთვის თემის გაცნობით, შემდეგ წამყვანები რიგრიგობით სვამენ შეკითხვებს, მათ თანაბრად ეთმობათ საეთერო დრო, და, რაც მთავარია, ეთერი ყოველთვის სრულდება შეჯამებით და გადაცემიდან გამოტანილი მთავარი აზრით. „დღის კოდი“ ჯამში 1 საათს გრძელდება, ზოგჯერ ჟურნალისტები ასწრებენ ორი სტუმრის ჩაწერას, ზოგჯერ კი მთელი ეთერი ეთმობა ერთ ადამიანს.

დასკვნის სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ „დღის კოდი“ მაყურებელს აძლევს შესაძლებლობას არამარტო განიტვირთოს, არამედ იმსჯელოს და განივითაროს საკუთარი ლოგიკური და ანალიტიკური უნარ-ჩვევები.

შენიშვნა: 2023 წლის დეკემბერს გადაცემა „დღის კოდი“, რომელიც ყოველ ხუთშაბათსა და პარასკევს საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში გადიოდა- დაიხურა.

2.2. გადაცემა „ეკა ხოფერიას თოქ-შოუ“

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ტელევიზიებში შოუების საკმაოდ დიდი არჩევანია, კონკრეტულად თოქ-შოუს ჟანრის პოვნა ძალიან რთულია. როგორც ზემოთ ვახსენეთ, თოქ-შოუს მონაწილეები: ჟურნალისტი, სტუმარი/სტუმრები და მოწვეული აუდიტორიაა. ამ პარამეტრებით მხოლოდ „პროფილი“ და „ეკა ხოფერიას თოქ-შოუ“ მოიძებნა. ორივე გადაცემა ამ ეტაპზე დახურულია, მაგრამ თავის დროს საკმაოდ დიდი პოპულარულობით სარგებლობდა. კვლევის ფარგლებში ეკა ხოფერიას თოქ-შოუს განვიხილავ.

2.2.1 სათაური: „მაიკო კაჭკაჭიშვილი - ახალი ცხოვრებით“.

სტუმარი: კომპოზიტორი, მუსიკოსი მაიკო კაჭკაჭიშვილი.[7]

დადებითი მხარეები:

- გადაცემა იწყება სტუმრის წარდგენით სტუდიაში მყოფი აუდიტორიის წინაშე. წამყვანი ხაზგასმით საუბრობს იმაზე, რომ მაიკო კაჭკაჭიშილი გადაცემის სტუმარი ადრეც იყო და ამ გადაცემის ფარგლებში აუდიტორია მას „გადასხვაფერებულს“ ნახავს. შემდგომ ირკვევა, რომ გადაცემაში საუბარი ბარიატრიულ ქირურგიაზე იქნება.
- არის წამოჭრილი სერიოზული პრობლემა, რომელიც მსოფლიოში მრავალ ადამიანს აწუხებს, ეს არის ჭარბწონიანობა. ზედმეტი კილოგრამები იწვევს ადამიანის თავდაჯერების დაქვეითებას, ზოგჯერ პირადი თუ პროფესიული ცხოვრების ჩამონგრევას, უკიდურეს შემთხვევაში –ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემების განვითარებას. სწორედ ამ საკითხებზე საუბრობს რესპონდენტი და დიალოგის რეჟიმში, მშვიდად ჰყვება იმ გამოწვევებზე, რომლებსაც წონაში მომატების შემდეგ წააწყდა.
- მიუხედავად იმისა, რომ თოქ-შოუში ძალიან ხშირად ჟურნალისტები არ ზოგავენ თავის ენერგიას, რათა გამოიწვიონ აუდიტორიის აღშფოთება/რესპონდენტების ჩართულობა, ამ გადაცემაში წამყვანი საკმაოდ გაწონასწორებული იყო. არ სვამდა უხერხულ ან უტაქტო კითხვებს, აცდიდა საუბარს რესპონდენტს და უხეშად არ ერეოდა. როდესაც ეკა ხოფერიამ ჰკითხა მაია კაჭკაჭიშვილს, თუ რამდენს იწონიდა იგი ოპერაციამდე, რესპონდენტმა არ უპასუხა და უთხრა, რომ ძველი ციფრის გამხელა არ სურს, ჟურნალისტს არ გაუგრძელებია ამ თემის ირგვლივ სხვა მრავალი კითხვის დასმა - მან საუბარი სხვა თემაზე გადაიტანა.
- შოუში ასევე წამყვანი ისეთ სენსიტიურ თემას შეეხო, როგორიც არის დეპრესია. მაია კაჭკაჭიშვილმა ისაუბრა მისი ცხოვრების რთულ ეტაპზე, როცა დაშორდა მეუღლეს, დროებით შეწყვიტა მუსიკალური კარიერა, დაკავდა ნამცხვრების გამოცხობითა და მათი გაყიდვით, რათა ერჩინა ტყუპი შვილები და გადაეხადა ბინის იპოთეკის ფული. თოქ-შოუს ერთ-ერთი მიზანი ხომ სწორედ ადამიანებში ემოციების გამოწვევაა. ჟურნალისტმა კი სწორად დასმული კითხვების მეშვეობით, მოახერხა რესპონდენტის გახსნა ამ თემაზე სასაუბროდ და მაიკოს მაგალითით დაანახა მაყურებელს, რომ ცნობილი ადამიანებიც გადიან მძიმე გზას, მაგრამ არ ნებდებიან და ბნელი პერიოდიდან საბოლოოდ გამოსვლას, კვლავ წარმატების მიღწევას და ცხოვრების ახალი ფურცლიდან დაწყებას ახერხებენ.

[7] ლინკი:https://www.youtube.com/watch?v=JjJn0eOj_6E

- ვინაიდან სტუმარი პროფესიით მომღერალია, გადაცემაში მან ორჯერ იმღერა, რაც, ცხადია, გადაცემის სცენარით წინასწარ იყო გაწერილი, მაგრამ მიზანშეწონილად ჩაჯდა შოუს გარკვეულ დროის მონაკვეთში.
- სტუდიაში მყოფ აუდიტორიას ეკა ხოფერიამ ასევე დაუთმო სათანადო დრო და მისცა საშუალება, რომ ესაუბრათ მაიაზე, მოეყოლათ მასთან დაკავშირებული ისტორიები. არ იგრძნობოდა დისპროპორცია მოსაუბრეებისთვის მინიჭებულ დროში.

  ამგვარად, ეკა ხოფერიას თოქ-შოუმ, კონკრეტულად ამ გადაცემამ შეძლო მაყურებლისთვის ეჩვენებინა მაია კაჭკაჭიშვილი სხვა რაკურსით. თავისთავად, ჯერ გადაცემაში მოწვევით, შემდეგ სიმღერით გამოსვლით, რთული ცხოვრების ეტაპის გამოვლის ისტორიით, მეგობრებისა და ახლობლების დადებითად დახასიათებით - მაია კაჭკაჭიშვილს გაუკეთდა პიარი, რაც ასევე თოქ-შოუს ჟანრს ახასიათებს.

უარყოფითი მხარეები:

- ეს კონკრეტული გადაცემა თავისი შინაარსით არის ერთჯერადად საყურებელი. ჟურნალისტს შეეძლო ჭარბი წონის თემა, კუჭის შემცირების ოპერაციის საკითხი უფრო განევრცო – დაეპატიჟებინა არა მარტო სტუმრის ახლობლები, არამედ რამდენიმე ამ სფეროში გარკვეული პერსონა, რომელიც ბარიატრიული ქირურგიის უკუჩვენებებზე ისაუბრებდა. ექსპერტი თუ არა, თავად მაია კაჭკაჭიშვილს შეეძლო ესაუბრა იმ ეტაპებზე, რომლის გავლამაც მოუწია ქირურგიული ჩარევის შემდეგ. მაყურებელს ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ თუნდაც მცირე წილით ამ თოქ-შოუს ფარგლებში მოხდა არა მხოლოდ პრობლემის წამოჭრა, არამედ მისი ფართო უდიტორიაზე უფრო დადებით ჭრილში გავრცელება, რაც არასწორია. თუნდაც მსუბუქად საყურებელ თოქ-შოუში, როგორც სატელევიზიო პროგრამაში (მასმედიის პროდუქტში) უნდა იყოს მოყვანილი და გათვალისწინებული აზრთა სხვადასხვაობა.

2.2.2 სათაური: „თამარ გვერდწითელის პირადი და პროფესიული ცხოვრების შესახებ“

სტუმარი: ქართველი, საბჭოთა, რუსეთის, ისრაელის ესტრადის მომღერალი, მსახიობი, კომპოზიტორი, საქართველოსა და რუსეთის სახალხო არტისტი თამარ გვერდწითელი. [8]

დადებითი მხარეები:

- წამყვანი პირველ კითხვას თამარ გვერდწითელის ბავშვობის მოგონებებით იწყებს. გადაცემაში ჩანს ინტერვიუერის წინასწარი მომზადება, ვინაიდან დიალოგში იგი საუბარს ისეთ დეტალებზე იწყებს, რასაც სტუმარი დიდი ალბათობით განავრცობს და უფრო დეტალურად მოუყვება მაყურებელს. მაგალითად, ეკა ხოფერია წინ

[8] ლინკი: https://www.youtube.com/watch?v=R_omziqeTtA

წამოწევს თამარ გვერდწითელის ცხოვრებაში დედის როლს, ხოლო შემდეგ თავად სტუმარი აგრძელებს ამ თემაზე საუბარს და იხსნებს, თუ როგორ ზრდიდა მას დედა და როგორ გაუღვივა მუსიკისადმი სიყვარული.

- დიალოგი სტუმართან ნელ-ნელა, ქრონოლოგიის დაცვით ვითარდება. დასაწყისში თამარ გვერდწითელი ჰყვება, რომ დედამისი წარმოშობით ებრაელი, პროფესიით რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი იყო, სწორედ მისი წყალობით, ადრეულ წლებშივე თამარმა დაიწყო მუსიკაში მეცადინეობა, ჩააბარა თბილისის კონსერვატორიასთან არსებულ სპეციალიზებულ მუსიკალურ ათწლედში. შემდეგ ეკა ხოფერია ინტერესდება მისი პირველი გადადგმული და საკმაოდ წარმატებული ნაბიჯებით მუსიკალურ დარგში. აქაც თამარი ვრცლად ჰყვება, რომ 70-იანების დასაწყისში იგი ბავშვთა საესტრადო ანსამბლ „მზიურის“ სოლისტი გახდა, რომლის შემდგენლობაში ყოფნისას მთელი საბჭოთა კავშირი შემოიარა გასტროლებით. სკოლის შემდეგ მან თბილისის კონსერვატორიაში ჩააბარა და ფორტეპიანოსა და კომპოზიციის კლასი და ვოკალისთვის განკუთვნილი სპეციალური კოლეჯი დაამთავრა.

  ამგვარად, თოქ-შოუს ფარგლებში მაყურებელს აქვს შესაძლებლობა, გაეცნოს სტუმარს, გაიგოს მისი ბიოგრაფია. ვინაიდან, რაც უნდა ცნობილი ვარსკვლავი იყოს სტუდიაში, არის აუდიტორიის კონტინგენტი, რომელმაც არ იცის ან ცუდად იცნობს ამა თუ იმ ცნობადი პირის ბიოგრაფიას.

- ეკა ხოფერიამ თოქ-შოუს ფარგლებში წამოწია პირადი ცხოვრების თემა. მან ეს გააკეთა საკმაოდ მოზომილად, რესპონდენტისთვის ყოველგვარი უხერხულობის განცდის შექმნის გარეშე. თამარმა ისაუბრა მის დიდ ქორწილზე, ცნობად პირებზე, რომლებიც ამ წვეულებას ესწრებოდნენ (მათ შორის – შევარდნაძე), როგორი საქორწილო კაბა ეცვა და სად შეიკერა. მოკლედ, ყველა ის დეტალი, რაც მასმედიის აუდიტორიას ყოველთვის ხიბლავს და აინტერესებს.

- ჟურნალისტი ასევე ირიბად შეეხო თამარ გვერდწითელის განქორწინების თემას, მაგრამ საუბარში უფრო გამოკვეთილი იყო არა დაშორების დეტალები, არამედ თამარის მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმა - პრიორიტეტების განაწილება კარიერასა და პირად ცხოვრებას შორის. რესპონდენტმა აღნიშნა, რომ გული წყდება მის ყოფილ მეუღლესთან ურთიერთობის დანგრევის გამო, მაგრამ იმავდროულად ხაზი გაუსვა იმ ფაქტორს, რომ 90-იან წლებში ჯერ საფრანგეთში და შემდეგ რუსეთში გადასვლა და კარიერულად განვითარება სწორად გადადგმული ნაბიჯი იყო. აქედან გამომდინარე, ამ დიალოგით ეკა ხოფერია თამარის მაგალითზე მაყურებელს სთავაზობს ცხოვრების ერთ-ერთ სცენარს, როდესაც წარმატების მისაღწევად ზოგჯერ მძიმე არჩევანის გაკეთებაც შეიძლება მოგვიწიოს.

- გადაცემის ბოლოს თამარმა დაუკრა და შეასრულა მისი რამდენიმე ცნობილი სიმღერა, რამაც სიამოვნება მიანიჭა, როგორც ადგილზე მყოფ აუდიტორიას, ასევე ტელეეკრანებთან მყოფ საზოგადოებას.
- ჩვენ ვიცით, რომ თოქ-შოუს ფარგლებში ხდება გარკვეული ადამიანის, პროდუქტის, წვეულების ფარული პიარი/პოპულარიზაცია. ამ შემთხვევაში, თამარმა ისაუბრა მისი ხელმძღვანელობით დაორგანიზებულ ფესტივალზე „მუსიკა საზღვრების გარეშე“, რომელიც ყოველწლიურად იმართება ბათუმში.

უარყოფითი მხარეები:

- მიუხედავად იმისა, რომ წამყვანმა სტანდარტების შესაბამისად წაიყვანა გადაცემა, ისეთი ნიჭიერი პერსონაჟის, როგორიც არის თამარ გვერდწითელი, უფრო მეტად გახსნაც შესაძლებელი იყო. ყველა დასმული შეკითხვა საინტერესო და იმ მომენტისთვის შესაბამისი იყო, მაგრამ, შეიძლებოდა უფრო მეტი საკითხის წამოწევა და უფრო სიღრმისეულად თამარის მიერ განვლილ გზაზე საუბარი.
- ამ კონკრეტულ გადაცემაში (წინა გადაცემისგან განსხვავებით) აუდიტორია მხოლოდ ფონს ქმნიდა. უფრო თვალსაჩინო იქნებოდა, რომ მოწვეულ სტუმრებს სტუმრისათვის დაესვათ კითხვები ან სტუდიაში ყოფილიყვნენ ისეთი ცნობილი ადამიანები მუსიკალურ დარგში, რომლებიც თამარს კარგად იცნობენ და ხშირად იკვეთებოდნენ მასთან კონცერტებზე.

2.2.3 სათაური: „ნატო დუმბაძე და მისი ვარსკვლავური შემადგენლობა“

სტუმარი: ქართველი პროდიუსერი ნატო დუმბაძე [9]

დადებითი მხარეები:

- ჟურნალისტი აცნობს თავის აუდიტორიას სტუმარს, ხოლო მისი შემოპატიჟების შემდეგ ეტაპობრივად იწყებს რესპონდენტის გახსნას: კითხვები თავდაპირველად ნატო დუმბაძის შემოქმედებითი ცხოვრების საწყის ეტაპზე იყო მიმართული
- ეკა ხოფერია სვამს მოკლე-მოკლე, მაგრამ დიდი რაოდენობის ქვეშეკითხვებს, რაც რესპონდენტს პირველ რიგში უადვილებს იმის გააზრებას, თუ რაზე სურს ჟურნალისტს საუბარი, ხოლო თავად ჟურნალისტი იღებს ამომწურავ პასუხს მისთვის საინტერესო თემაზე.
- თოქ-შოუში ჩართული იყო აუდიტორია, სადაც ისხდნენ ნატო დუმბაძის მეგობრები: რეჟისორი ბაკურ ბაკურაძე, საქართველოს კულტურის პალატის პრეზიდენტი დავით

[9] ლინკი: https://youtu.be/v_4nbVWurPA?si=NXd7RROX-nsxqxnz

ოქიტაშვილი, ტელეწამყვანი ია ფარულავა, მომღერლები ანრი ჯოხაძე, ცისანა სეფიაშვილი, მაია ჯაბუა და ა.შ.

- ეკა ხოფერიას გადაცემის ეს გამოშვება გამოირჩევა განსაკუთრებული სილაღით, სიმსუბუქით და გარკვეულწილად ნოსტალგიით. მოწვეული სტუმრები (ნატო დუმბაძის მეგობრები) იხსენებენ ბევრ საინტერესო ისტორიას, რომელიც იკვეთება სხვადასხვა დროს ცნობილი მომღერლების საქართველოში ჩამოსვლასთან. აქედან გამომდინარე მაყურებელს ეძლევა საშუალება, გაიხსენოს ძველი 90-იანების კონცერტები და მათი გუნდურად ორგანიზების დეტალები.
- ეკა ხოფერია არ შემოიფარგლება გადაცემაში მყოფი აუდიტორიის გადაღებით და იყენებს რესპონდენტების ჩაწერის „შერეულ მეთოდს“. მაგალითად, ია ფარულავასთან დიალოგი ერთ-ერთი მყუდრო რესტორნის გამწვანებულ ეზოში მიმდინარეობს; მომღერალი ჯაბა ქარსელაძე ერთვება პარიზიდან და ეთერში დიდი პროექტორიდან ეჩვენება დამსწრე სზოგადოებას; გვაჩვენებენ სიუჟეტს შეკვეთილიდან – ზღვის სანაპიროდან, სადაც ნატო დუმბაძის ქალიშვილები ისვენებენ და სტუმრად მოსულ ჟურნალისტს უყვებიან მთავარ გმირზე, არა როგორც კარიერაში წარმატებულ ქალბატონზე, არამედ როგორც ოჯახში მოფუსფუსე დედასა და ბებიაზე. მსგავსი ლოკაციების შეცვლა რესპონდენტების ჩაწერის დროს მიუთითებს გადაცემის მრავალფეროვნებაზე, ხოლო აუდიტორია ამ შემთხვევაში ნაკლებად იწყენს და ინტერესს გადაცემის ბოლომდე ინარჩუნებს.
- გადაცემის ბევრმა სტუმარმა გააკეთა აქცენტი საქართველოში ნამდვილი პროდიუსერებისა და ხარისხიანად დაორგანიზებული შოუების, მუსიკალური კონცერტების დეფიციტზე. ესეც შეიძლება ჩაითვალოს ამ გადაცემის ძლიერ მხარედ, ვინაიდან თოქ-შოუს რეკრეაციული ფუნქციის მიუხედავად, სცენარის ქვეტექსტში აუცილებლად უნდა იყოს გამოკვეთილი გარკვეული პრობლემა, რაზეც ისაუბრებს ჟურნალისტი თავის სტუმართან/სტუმრებთან ერთად.

უარყოფითი მხარეები:

- თოქ-შოუს ერთ-ერთი სტუმარი ქეთა თოფურიაა. მასსა და მთავარ რესპონდენტს შორის კავშირზე, მოგონებებზე მწირი რაოდენობის კითხვებია დასმული. მეტწილად ჟურნალისტი თავად თოფურიაზე და მის წარმატებებზე საუბრობს, რაც გადაცემის მიმართულების შეცვლასა და თავად ნატო დუმბაძის მეორე პლანზე გადანაცვლებაზე მიგვითითებს (გადაცემის პირველი ნაწილი 45.56 წუთი გრძელდება, აქედან 24 წუთი დაეთმო ქეთა თოფურიასთან და დედამისთან, ნატა ბუცხრიკიძესთან ჩაწერილ ინტერვიუს).
- არ დაეთმო დრო აუდიტორიის იმ წევრებს, რომლებიც იმყოფებოდნენ გადაცემის ჩაწერის დროს, მაგრამ არ იყვნენ ნატო დუმბაძის უშუალოდ ნაცნობები და

მეგობრები. ვფიქრობ, 10-15 წუთიანი დროის მონაკვეთის დათმობა იქ მჯდომი უცხო ადამიანებისთვის, ვისაც გადაცემის ფარგლებში მათი „კუმირისთვის“ თავისი ემოციების გაზიარებოს ან კითხვის დასმის საშუალება ექნებოდათ , თოქ-შოუს გახდიდა ამომწურავს და სრულფასოვანს.

2.2.4 სათაური:„პირველი გამოჩენა ხანგრძლივი პაუზის შემდეგ და ინტერვიუ ყველა სასურველ კითხვაზე“

სტუმარი: ქართველი დიპლომატი, თანამდებობის პირი, მეცნიერი, პედაგოგი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი 2012 წლის 25 ოქტომბრიდან 2014 წლის 5 ნოემბრამდე - მაია ფანჯიკიძე[10]

დადებითი მხარეები:

- თანამდებობიდან წამოსვლის შემდეგ, მაია ფანჯიკიძე წლების განმავლობაში არ წარდგენილა მაყურებლის წინაშე. თოქ-შოუს ეს გამოშვება არის ექსკლუზიური და იპყრობს აუდიტორიის ყურადღებას საზოგადოებისთვის ცნობილი, ყოფილი საჯარო მოხელის რესპონდენტად მოწვევის ხარჯზე.
- ჟურნალისტი იცავს ეთიკურ ნორმებს და ინტერვიუს დაწყებამდე ეკითხება რესპონდენტს, არის თუ არა იგი მზად უპასუხოს ეკა ხოფერიას მიერ დასმულ ყველა შეკითხვას.
- ეკა ხოფერია ინტერესდება მაია ფანჯიკიძის მიერ გამოცემული წიგნით, რომელიც ითარგმნება ქართული ენიდან გერმანულზე და ასევე გაყიდვაში იქნება ევროპის ქვეყნებშიც. როგორც ტელეეკრანზე ჩანს, რესპონდენტს ესიამოვნა ამ თემაზე დასმული შეკითხვა, შესაბამისად იგი ვრცლად პასუხობს და ჰყვება, რომ წიგნი უსაფრთხოებასა და ადამიანის უფლებებს შორის ბალანსზეა. რესპონდენტი განავრცობს და საკმაოდ საინტერესოდ ჰყვება, თუ რა პრობლემებს აწყდება საზოგადოება, რომელმაც არ იცის რა უფლებები გააჩნია საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით. ასევე ეხება ისეთ საკითხს, როგორიცაა ჭარბად გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაცია ინტერნეტ-სივრცეში საქართველოს მოსახლეობაზე. მარტივი წვდომა რიგითი მოქალაქის პირად ინფორმაციაზე, შესაძლოა იქნეს ბოროტად გამოყენებული სხვის მიერ.
  აქედან გამომდინარე, ეკა ხოფერიას გადაცემის ეს კონკრეტული გამოშვება გამოირჩევა შემეცნებითი სახის დიალოგით ინტერვიუერსა და რესპონდენტს შორის.
- თოქ-შოუს წამყვანი შეეხო მაია ფანჯიკიძის პოლიტიკაში მოღვაწეობას. აღსანიშნავია, რომ ეს თემა საკმაოდ დელიკატურად დაიწყო და პირველი კითხვა მაია ფანჯიკიძის

[10] ლინკი: https://youtu.be/JAoNTene0tM?si=G57yklLFpePVcAET

საგარეო საქმეთა მინისტრის პოზიციაზე ყოფნის დროს წინ გადადგმულ ნაბიჯებს და რეფორმებს ეხებოდა.

- როდესაც მაყურებელი იგებს, რომ რესპონდენტი ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი იქნება, ბუნებრივია, ფიქრობს, რომ მეტწილად პოლიტიკურ ჭრილში იქნება საუბარი, თუმცა ეკა ხოფერია დაბალანსებულად უთმობს ეთერში დროს მაია ფანიჯიკიძეს, როგორც ყოფილ მინისტრს, ასევე მაია ფანიჯიკიძეს, როგორც დიპლომატს, თარჯიმანსა და ლიტერატორს, მწერალს, პედაგოგს და მაია ფანჯიკიძის სხვა ნიჭს, რომელიც აქამდე არ იყო წარმოჩენილი. ეს ის შემთხვევაა, როცა ჟურნალისტი და რესპონდენტი ინტერვიუში ერთმანეთის მონაცვლეობით, ქრონოლოგიურად საუბრობენ და გადადიან ერთი შეკითხვიდან - მეორეზე.
- მაია ფანჯიკიძე ირიბად შეეხო მის ოჯახს და იმ მოგონებებსაც, როდესაც მთელი ოჯახი მცხეთის სახლში ატარებდნენ დასვენების დღეებს. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ინტერვიუ საკმაოდ დინამიკური და საინტერესო იყო, მაგრამ ცარიელი სტუდია აუდიტორიის გარეშე, ფოტო-ვიდეო მასალის დეფიციტი ეკრანზე მას აკლებდა იმ სიხალისეს და სიმსუბუქეს, რაც ახასიათებს კლასიკურ თოქ-შოუს. მაგრამ, სწორედ იმ ეტაპზე, როცა ინტერვიუ თითქოს გაწელილი შეიძლებოდა მოსჩვენებოდა მაყურებელს, ეკა ხოფერიამ მაია ფანჯიკიძის მცხეთის სახლსა და ეზოში ექსკურსია მოგვიწყო და დაგვანახა მაია ფანჯიკიძე, რომელიც დიასახლისის როლსაც საკმაოდ ეფექტურად ირგებს.

უარყოფითი მხარეები:

- მიუხედავად იმისა, რომ თავად გადაცემის წამყვანს აქვს სრული უფლება, ინტერვიუ ისეთ გარემოსა და ვითარებაში ჩაწეროს, რომელიც უფრო მოსახერხებელი იქნება, მაინც ეკა ხოფერიას თოქ-შოუს საკვანძო ნაწილი არის სწორედ ეთერში მყოფი აუდიტორიის ჩართულობა, ხოლო ამ კონკრეტულ შემთხვევაში სტუმრის ჩაწერა მხოლოდ გადამღები ჯგუფის გუნდთან ცარიელ აუდიტორიაში მიმდინარეობს. ერთის მხრივ, ეს შეიძლება ჩაითვალოს რესპონდენტისთვის კომფორტული გარემოს შექმნის მცდელობად და მისი სურვილების გათვალისწინებად ინტერვიუს პროცესის უკეთ წარსამართავად, ხოლო მეორე მხრივ მასთან მიმართებაში მიკერძოებულობაზე, სხვა სტუმრების ფონზე ეგრეთ წოდებულ „გამოყოფაზე“ მიგვანიშნებს.
- ინტერვიუ იწყება 2016-2017 წლის საკვანძო მოვლენით (წიგნების გამოცემით) მაია ფანჯიკიძის ცხოვრებაში, რამდენიმე მსუბუქი შეკითხვა მის წარსულზე, ოჯახზე, ვფიქრობ, მაყურებელს (განსაკუთრებით მათ, ვისაც მწირი ინფორმაცია აქვს მაია ფანჯიკიძეზე) გაუმარტივებდა და დაეხმარებოდა რესპონდენტის ხასიათის გაგებას.

2.2.5 გადაცემის სახელწოდება: „პირველი ლედი მაკა ჩიჩუა“ (ჩაიცვი ქართული! ატარე ქართული! - ეს არის გადაცემის მთავარი მოწოდება).

სტუმარი: ქართველი მსახიობი, მხატვარი, ვიზაჟისტი და მუსიკოსი. საქართველოს პირველი ლედი (17 ნოემბერი 2013 – 16 დეკემბერი, 2018), საქართველოს მე-4 პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის მეუღლე.[11]

დადებითი მხარეები:

- გადაცემა შეიცავდა სარეკლამო ხასიათის სიუჟეტებს. მისი მთავარი მიზანი იყო ქართული ტანსაცმლის ბრენდების პოპულარიზაცია. ხოლო სტუმრად მოწვეული იყო საქართველოს იმდროინდელი პირველი ლედი მაკა ჩიჩუა, რომელიც განთქმული იყო თავისი ჩაცმითა და მოხდენილობით. ამგვარად, ჟურნალისტმა თოქ-შოუს ფარგლებში საზოგადოებისთვის საინტერესო ადამიანის ინტერვიუირებისა და ჩვენივე ქვეყნის ბრენდების მაყურებლისთვის გაცნობის სინთეზი შემოგვთავაზა.
- მაკა ჩიჩუა ეკა ხოფერიას ინაუგურაციაზე და შემდგომ ოფიციალურ მიღებებზე მის მიერ მოხდენილ სადღესასწაულო სამოსზე უამბობს. იგი აღნიშნავს, რომ უპირატესობას ჩაცმულობაში უბრალოებას და ამავე დროს მოხდენილობას ანიჭებს, ამიტომაც ცალსახად გადაწყვიტა, რომ სამოსი არა საზღვარგარეთ, არამედ ქართველ ახალგაზრდა დიზაინერთან დათუნა სულიკაშვილთან შეეკერა. ინტერვიუს ამ ამონარიდით, საზოგადოება ხედავს, რომ საქართველოს პირველი ლედის პრიორიტეტი არა ძვირადღირებული, არამედ ბიუჯეტური და მოხდენილი სამოსის ჩაცმაა.
- ეკა ხოფერია ეკითხება მაკა ჩიჩუას, თუ რა განასხვავებს და გამოყოფს ქართული ტანსაცმლის ბრენდებს ფრანგული, ბრიტანული თუ იტალიური ბრენდებისაგან, რაზეც რესპონდენტი საინტერესო პასუხს სცემს: „ამ პატარა ქვეყანაში თავმოყრილია: სუბტროპიკები, ზღვა, მთა, უდაბნოც კი. როგორ შეიძლება ეს ენერგეტიკა არ მოქმედებდეს ადამიანებზე, როცა ისინი ხედავენ ფერს, ფორმას. თუ შენ შემოქმედებითად აღიქვამ სამყაროს, მაშინ ეს ინსპირაცია აუცილებლად აისახება ქალაქების ინფრასტრუქტურაზე, საზოგადოების ჩაცმულობაზე“.
- მაკა ჩიჩუასთან ინტერვიუს შემდეგ ეკა ხოფერია მაყურებელს მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის შენობიდან შეუერთდა, სადაც მოწვეული ჰყავდა ქართული სამოსის ბრენდების შემქმნელები, რომლებიც ჩვენს საზოგადოებას მისაღებ ფასად სთავაზობენ სამოსს ტრადიციული ელემენტებით .
- გადაცემაში იყო ახალი ქართული ბრენდის „ლაზეთის“ პოპულარიზაცია. ეკა ხოფერიას სტუმრები თოქ-შოუს ეთერში ესტუმრნენ „ლაზეთის“ ფილიალს და

[11] ლინკი: https://youtu.be/k0RRwdRrWSI?si=T9XzmXHrapcsaZg7

მოიზომეს სხვადასხვა სამოსი, ხოლო გადაცემის ბოლოს ბრენდ „ლაზეთის“ სამოსით დეფილეზე წარდგნენ.

უარყოფითი მხარეები:

- გადაცემის მოტივიდან გამომდინარე, კიდევ უფრო საინტერესო იქნებოდა, გარდა „ლაზეთის“, სხვა ბრენდებიც წარედგინათ.
- გადაცემის ხანგრძლივობა ზოგადად 45 წუთიდან 50 წუთამდეა. ეს გამოშვება კი სულ 29 წუთი გრძელდებოდა და მიუხედავად სახალისო ექსპერიმენტისა (სადაც მოწვეული სტუმრები იზომებენ „ლაზეთის“ ტანისამოსს), ლოკაციების შეცვლისა, თოქ-შოუს ფარგლებში ამ თემის განვრცობა უფრო შეიძლებოდა.

2.2.6 დასკვნა

ეკა ხოფერიას გადაცემა იცავს თოქ-შოუს მთავარ სტანდარტებს: აუდიტორიას სთავაზობს მსუბუქ გადაცემებს გამარტივებული ტექსტებით, ირიბად წამოწეული პრობლემური საკითხებით, გასართობი ელემენტებითა და ქართველი საზოგადოებისთვის საინტერესო პერსონაჟებით. აღასანიშნია ის ფაქტი, რომ გადაცემაში მოწვეული სტუმრები ყოველ ჯერზე არიან სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები: საქართველოს პირველი ლედი, საგარეო საქმეთა მინისტრი, პროდიუსერი, მომღერალი, მსახიობი, შეფ-მზარეული და ა.შ. ჟურნალისტი არის საკმაოდ მომზადებული, ავლენს პროფესიონალიზმს ეთერში: არ აწყვეტინებს სტუმრებს, სვამს კითხვებს მშვიდად და მოზომილად, რითიც იწვევს ნდობას, როგორც თავისი მაყურებლისგან, ასევე პოტენციური რესპონდენტებისგან. თოქ-

შოუს თემატიკიდან გამომდინარე, ეკა ხოფერია ცვლის ლოკაციებს: ზოგჯერ იგი აუდიტორიაში იწვევს სტუმარს, ზოგჯერ კი თავად სტუმრობს რესპონდენტს ჩასაწერად. ქართული გადაცემებისთვის დამახასიათებელია ეთერის ჩაწერის პროცესში პოლიტიკურ საკითხებზე გადასვლა და საბოლოოდ ამ თემაზე დისკუსია გადადის კონფლიქტში. ეკა ხოფერიას თოქ-შოუში არც პოლიტიკასთან კავშირში მყოფ სტუმრებთან, არც ხელოვან ადამიანებთან მათ პოლიტიკურ ხედვებზე საუბარი არ მიდის, თუ ისინი განიხილავენ გარკვეულ პრობლემებს, რომლებსაც მათ პროფესიულ დარგში აწყდებიან – ეს ყოველივე საზღვარს არ გადადის და კონკრეტულ თემატურ ჩარჩოშია მოქცეული.

თუმცა, განსაზღვრულ მონკვეთებში გადაცემას აკლია თოქ-შოუსთვის დამახასიათებელი დინამიკა, მხარეების ჩართულობა, ჟურნალისტის მოდერატორობა წამოჭრილი თემის ირგვლივ გაჩენილ აზრთა სხვადასხვაობაში. აუდიტორია თითქოს ესწრება ჩაწერას, მაგრამ მას ყოველთვის ვერ განვიხილავთ შოუში აქტიურად ჩართულ და მოსაუბრე რგოლად. მეტწილად, თუ ვინმეს დრო ეთმობა, ესენი არიან მოწვეული სტუმრის ასევე ცნობადი მეგობრები, ხოლო რიგითი მაყურებლები უბრალოდ „ფონის გასალამაზებლად“ სხედან.

3. საბოლოო შეჯამება

თოქ-შოუ, როგორც სატელევიზიო ჟურნალისტიკის ჟანრი, არის მრავალკომპონენტიანი, კომპლექსურად ორგანიზებული ფენომენი, რომელიც აერთიანებს სოციოკულტურულ, გენდერულ, ექსტრალინგვისტურ, ჟანრულ და ენობრივ მახასიათებლებს. აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ თოქ-შოუების მონაწილეები არიან პერსონაჟები, რომელთა ცხოვრებისეული ისტორიებისა და რეალური თუ გამოგონილი პრობლემების წარმოდგენას პროგრამის ავტორები მკვეთრად და ხაზგასმით ცდილობენ. მაგრამ ამავე დროს ისინი შოუს რეკრეატიულ ფუნქციას უნარჩუნებენ, მასმედია, კერძოდ ტელევიზია ამგვარად საზოგადოებრივ აზრს აკონტროლებს. თოქ-შოუები, რომლებიც იყენებენ რეალურ ადამიანურ ისტორიებს მათი პრობლემებითა და სირთულეებით, წარმოაჩენენ უამრავ სხვადასხვა, ერთმანეთის ჩამნაცვლებელ პერსონაჟს, მათი ემოციების სპექტრით - მაყურებელს გარკვეულ ქცევით ნიმუშს/მაგალითს უქმნიან.

ჩატარებული მონიტორინგის შედეგად, უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართული თოქ-შოუების პლატფორმა არის გაყოფილი ორ უკიდურეს „ფლანგად“: პირველი კატეგორიის თოქ-შოუები იცავენ თოქ-შოუს ფორმატს და ითვალისწინებენ მის მთავარ კონცეფციას, მაგრამ ამავდროულად ასეთი თოქ-შოუები არიან მოკლებული შინაარსს. წამყვანებს მოჰყავთ სტუდიაში ერთი და იგივე სტუმრები, მეტწილად ეს ადამიანები საქართველოს შოუ-ბიზნესის წარმომადგენლები არიან. ამგვარად მაყურებლისთვის მოწვეული პერსონაჟი არ წარმოადგენს „ხიბლს“, მან უკვე იცის სტუმრის ბიოგრაფია და იმასაც ხვდება, თუ რაზე იქნება საუბარი ეთერში, აქედან გამომდინარე დიდია ალბათობა, რომ მაყურებელი ასეთ ტელეპროდუქტს არც უყურებს ბოლომდე. პირველი კატეგორიის თოქ-შოუებს ჰყავს მოწვეული აუდიტორია, მაგრამ აქაც აქცენტი მხოლოდ წინა ხაზზე მჯდომ სტუმრებზე კეთდება (მაგალითად მოწვეული ტელევარსკვლავის მეგობრებზე, რომელიც ასევე შოუ-ბიზნესშია), ხოლო მოწვეული რიგითი სტუმარი, რომელიც საზოგადოებისთვის უცხოა, რჩება უბრალოდ სტუდიის „დეკორაციულ გაფორმებად“. ეკა ხოფერიას გადაცემაში, მიუხედავად თოქ-შოუს მთავარი კომპონენტების დაცვისა, რჩება შთაბეჭდილება, თითქოს მოწვეული სტუმრები „ნაცნობობით“ არიან მისული, ვინაიდან, თუ დავაკვირდებით გადაცემის პერსონაჟებს, უმეტესობა ერთი პროფესიული დარგიდანაა. ამგვარად ამ გადაცემას აკლია მრავალფეროვნება მაყურებლის თვალში. ჩვენ ვახსენეთ, რომ სატელევიზიო შოუებს ძალიან ბევრი ქვე-მიმართულება გააჩნია. თუ ტელევიზია აცხადებს, რომ იგი თოქ-შოუს ქმნის, გადაცემას უნდა ჰქონდეს კონკრეტული თემატიკა. თუ ორიენტირი მკაფიოა და საწყის ეტაპზევე წამყვანი აცხადებს, რომ ყოველ ეთერში დისკუსია შოუ-ბიზნესის ირგვლივ იქნება, მაშინ მრავალფეროვნების დეფიციტის კრიტიკის აცდენაც უფრო შესაძლებელი ხდება (თუმცა ამ შემთხვევაშიც, იმავე ქართული ესტრადის წარმომადგენლებში ბევრი ისეთი ნიჭიერი ადამიანი მოიძებნება, რომელიც ეთერში ჯერ

არავის მოუწვევია). მაგრამ, თუ თოქ-შოუ თავიდანვე არ აკონკრეტებს თავის მიმართულებას, მაშინ უფრო მკაფიოა მისი ერთფეროვნება და მოსაწყენი თემატიკა. აღსანიშნავია, რომ საქართველოში თოქ-შოუს წამყვანები მეტწილად იცავენ ეთიკურ ნორმებს, ქრონოლოგიის დაცვით სვამენ საინტერესო შეკითხვებს, მაგრამ ყოველ ჯერზე გადაცემას აკლია საკვანძო საკითხის წინა პლანზე გადმოტანა, ე.წ. კონკრეტული მაგალითის ფონზე განზოგადება და პრობლემური თემის წამოჭრა.

რაც შეეხება მეორე კატეგორიის გადაცემებს, სადაც არ არის სრულყოფილად დაცული თოქ-შოუს სტრუქტურა და უხშირეს შემთხვევაში ეთერში არ იმყოფება თოქ-შოუს საკვანძო რგოლი - აუდიტორია, საპირისპიროდ, შინაარსობრივად უფრო სიღრმისეული და შემეცნებითი სახის გამოდის. ზემოთ ჩვენ ვახსენეთ, რომ თოქ-შოუს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს: ყურადღების მიპყრობა და განსახილველი თემის მიმართ გარკვეული დამოკიდებულების ჩამოყალიბება. სწორედ ამ ამოცანას სრულფასოვნად უმკლავდება გადაცემა „დღის კოდი“, რომელიც საქართველოს თოქ-შოუების მეორე უკიდურეს კატეგორიას შეგვიძლია მივაკუთვნოთ. თუ პირველი კატეგორიების „უკიდურესობა“ მარტივად ასახსნელია, მეორე შემთხვევაში, მოდით, განვმარტოთ: გადაცემა „დღის კოდს“ აქვს ძალიან საინტერესო კონტენტი. იგი იწვევს კულტურისა და განათლების სფეროდან სხვადასხვა ექსპერტებს. ეთერში მკაფიოდ ჩანს ანალიტიკა და დისკუსია სოციალურ, ფილოსოფიურ, საგანმანთლებლო თუ პოლიტიკურ თემებზე. ჟურნალისტებს ეტყობათ, როგორც მიმდინარე თემის ირგვლივ მიღებული ცოდნა, ასევე ზოგადი მზაობა ეთერისთვის. ეს გამოიხატება საინტერესო კითხვებში, გადაცემის დასაწყისში დასახული მიზნის ბოლომდე მიყვანაში და სტუმრების სწორად შერჩევაში. „დღის კოდი“ თავისუფლად შეიძლება ჩაითვალოს საგანმანათლებლო პროგრამადაც, ვინაიდან ხშირად საუბარი მიდის ბავშვების აღზრდაზე, მათ ფსიქოლოგიურ პრობლემებზე, სოციუმში თავის დამკვიდრებაზე და ა.შ. მაგრამ მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი დადებითი მხარეებისა, „დღის კოდს“ და შინაარსობრივად მას მიმსგავსებულ გადაცემებს აკლიათ რეკრეაციული ფუნქცია, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი მახასიათებელია თოქ-შოუსთვის. როდესაც თოქ-შოუს არ გააჩნია თუნდაც მცირედი დოზით ინტრიგა, ემოციური სპექტრი წამყვანებსა და სტუმრებს შორის, ხოლო ამის სანაცვლოდ ჭარბად იგრძნობა მონოტონურობა, თოქ-შოუ კარგავს ხიბლს და ამგვარად მცირდება მის მაყურებელთა რაოდენობა. ასეთი სახის გადაცემებს შეუძლიათ მოწვეული სტუმრები ასაუბრონ არა მხოლოდ პრობლემური საკითხის ირგვლივ, არამედ 5-10 წუთი დაუთმონ მათ ბიოგრაფიას, უფრო გააცნონ ისინი აუდიტორიას.

დასკვნის სახით, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ქართულ თოქ-შოუებს აკლიათ ოქროს შუალედი რეკრეაციულ ფუნქციასა და შემეცნებით ფუნქციას შორის. ქართული გადაცემების ნაწილს გააჩნია ინფორმაციული სიახლის, მოწვეული სტუმრების და

განსახილველი თემების მრავალფეროვნების დეფიციტი. ერთი და იმავე სახეებზე - ცნობად პირებზე აქცენტის გაკეთება და მრავალჯერ მათი პიროვნების „პორტრეტის“ შეთავაზება არ შეესაბამება თოქ-შოუს სტანდარებს. თუმცა ისეთი სტილის გადაცემებს, რომლებსაც პრობლემური საკითხის წამოჭრა, საინტერესო რესპონდენტების დაპატიჟება და მრავალფეროვან თემებზე დისკუსია ახასიათებთ, აკლიათ ინფორმაციის გადაცემის მსუბუქი ფორმატი, რომელიც არა მხოლოდ საზოგადოების მცირე ნაწილს და გარკვეულ ასაკობრივ ჯგუფს, არამედ უმეტესობას დააინტერესებს და მოიზიდავს. ამისთვის საჭიროა ახალი სახეების დაპატიჟება, მოულოდნელობის ეფექტის დამატება და ინტერესის გადაცემის ბოლომდე შენარჩუნება. შოუ რესპონდენტების შერჩევისას უნდა უმიზნებდეს როგორც მაყურებლისთვის ახალი ინფორმაციის მიწოდებას, ასევე მოწვეული სტუმრის ბიოგრაფიიდან ახალი, აქამდე უცნობი ფაქტების წარმოჩენას. ნაშრომის დაწერის მომენტისთვის თოქ-შოუების ხარისხი არ წარმოადგენს სატელევიზიო აუდიტორიის მოზიდვის მყარ საფუძველს.

ბიბლიოგრაფია

1. Hanne Bruun. (2017). The Aesethetics of the Televsion Talk Show. pp. 11-13.
2. Keith Brown. (2006). Talk Shows. Encyclopedia of Language & Linguistics, Second Edition, pp. 489-494.
3. Tolson, Andrew. (2001). Television Talk Shows. Mahwah; New Jersey: Lawrence Erlbaum Associates, Publisher London.
4. А.В.Горобий. (2021). "Жанровая характеристика передач британского телеканала "Би-Би-Си1". Вестник РУДН. Серия: Литературоведение. Журналистика, стр. 115-121.
5. Вакурова Н.В., Московкин Л.И. (1998). Типология жанров современной экранной продукции.
6. Кузнецова Г.В., Ц. В. (Ред.). (2002). Телевизионная журналистика.
7. Людмила Шестёркина. (2016). Универсальная журналистика. Москва: Аспект Пресс.
8. Могилевская, Эльвира. (2006). Ток-шоу как жанр ТВ: происхождение, разновидности, приемы манипулирования.
9. Т. Н. БУЦЕВОЙ, Е. А. (Ред.). (2014). НОВЫЕ СЛОВА И ЗНАЧЕНИЯ; СЛОВАРЬ-СПРАВОЧНИК по материалам прессы и литературы 90-х годов XX века. Санкт-Петербург: Дмитрий Буланин.
10. Энвер Гусейнович Багиров. (1978). Очерки теории телевидения.

დანართი №1

ჩატარებული მონიტორინგის კრიტერიუმები

„დღის კოდი“

გადაცემის სახელწოდება, სტუმარი	*გადაცემის ხანგრძლივობა*	*აუდიტორიის დასწრება*	*ჟურნალისტის მიერ ეთიკური ნორმების დაცვა*	*გადაცემის მთავარი თემის მიმოხილვა*	*გადაცემის მრავალფეროვნება*	*გადაცემის შეჯამება*
1. „ტოტალიტარიზმი და ახალი ეპოქა“ (სტუმარი - პაატა ქურდაძე)	40 წთ	არა	დიახ	დიახ	ნაწილობრივ	დიახ
2. „როგორ აღმოვაჩინოთ და განვავითაროთ ნიჭი ბავშვებში“ (სტუმარი - რუსუდან აბრამიძე)	40 წთ	არა	დიახ	დიახ	ნაწილობრივ	დიახ
3. „რა იწვევს პროფესიულ გადაწვას და როგორ ავირიდოთ ის თავიდან“ (სტუმარი - მარინა კაჭარავა)	40 წთ	არა	დიახ	დიახ	ნაწილობრივ	დიახ
4. „პროფესია კინოოპერატორი“ (სტუმარი - დავით გუჯაბიძე)	40 წთ	არა	დიახ	დიახ	ნაწილობრივ	დიახ
5. „არტისტი, როგორც მოქალაქე“ (სტუმარი - ნანი ბრეგვაძე)	40 წთ	არა	დიახ	დიახ	ნაწილობრივ	დიახ

დანართი №2

ჩატარებული მონიტორინგის კრიტერიუმები

„ეკა ხოფერიას თოქ-შოუ“

გადაცემის სახელწოდება, სტუმარი	*გადაცემის ხანგრძლივობა*	*აუდიტორიის დასწრება*	*ჟურნალისტის მიერ ეთიკური ნორმების დაცვა*	*გადაცემის მთავარი თემის მიმოხილვა*	*გადაცემის მრავალფეროვნება*	*გადაცემის შეჯამება*
1. „მაიკო კაჭკაჭიშვილი -ახალი ცხოვრებით“	45-50 წთ	დიახ	დიახ	ნაწილობრივ	ნაწილობრივ	ნაწილობრივ
2. „თამარ გვერდწითელის პირადი და პროფესიული ცხოვრების შესახებ“	45-50 წთ	დიახ	დიახ	ნაწილობრივ	ნაწილობრივ	ნაწილობრივ
3. „ნატო დუმბაძე და მისი ვარსკვლავური შემადგენლობა“	45-50 წთ	დიახ	დიახ	ნაწილობრივ	ნაწილობრივ	ნაწილობრივ
4. „მაია ფანჯიკიძის პირველი გამოჩენა ხანგრძლივი პაუზის შემდეგ და ინტერვიუ ყველა სასურველ კითხვაზე“	45-50 წთ	არა	დიახ	ნაწილობრივ	ნაწილობრივ	ნაწილობრივ
5. „პირველი ლედი - მაკა ჩიჩუა“	45-50 წთ	დიახ	დიახ	ნაწილობრივ	ნაწილობრივ	ნაწილობრივ